ჟამი სამი შაყრი

ივლისიდან ყოველ კვირეულს, შაირთვით!

ახალი სოფელი

ორგანო და მაისი
ორგანი იმნისი



შინაარსი:

ძირითად გარდატეხისაკენ სოფლის მეურნეობაში.
საქონლის საკვების გაუმჯობესებისათვის
აგრ. ნ. ალნიაშვილი
სად და როგორი ჯიშის ხეხილის გამეხება შეიძლება ჩვენში
სპეც. მ. ქარცივაძე
ჭარხლის მოყვანა
აგრ. ი. ქურდიანი
მანდარინის სანერგის მოწყობა
აგრ. ერ. ნაკაშიძე
თუთის ხის გამრავლება და მოვლა
აგრ. ნ. ნუცუბიძე
ბაღის მარწყვის მოყვანა
მებაღე მ. ცივაძე
ცხოველების ავადმყოფობა აქტინომიკოზი
საქ. ექიმი კ. ფარეიშვილი
რა არის საჭირო საეურნეო კოლექტივის დაარსებისათვის
აგრ. ეპ. გოგოლაძე
ნაწლავების სნეულებანი
ექ. ივ. გომართელი
მეცნიერება და ტექნიკა
გამოსადეგი ცოდნა.
კითხვა-პასუხი.

1928

გამომცემლობა „ახალი სოფელი“

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ"

გამოდის 1928 წლის იანვარიდან აგრონომ **ნ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი **„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ"-ს** რედაქცია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მევენახეობაში—**ვ. ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**; მელვინეობაში—**კ. ᲑᲔᲠᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ**; მესაქონლეობაში—**მ. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ**; მებაღეობაში—**მ. ᲫᲐᲠᲪᲘᲕᲐᲫᲔ**; მეტყეობაში—**გ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ**; სუბტროპიკულ კულტურის დარგში—**ე. ᲜᲐᲫᲐᲨᲘᲫᲔ**; მემინდვრეობა-ენებოსტნეობაში—**ნ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში—**ი. ᲫᲣᲠᲫᲘᲐᲜᲘ**; მეაბრეშუმეობაში—**ვლ. ᲜᲘᲜᲯᲐᲠᲐᲫᲔ**; მეფუტკრეობაში—**პ. ᲚᲝᲚᲫᲐᲫᲔ**; ვეტერინარიაში საქონლის ექიძი—**მ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ივ. ᲒᲝᲛᲑᲐᲠᲗᲔᲚᲘ**.

მეცნიერულ-პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები.

გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, კრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ფრემიძე (სილნაღი), ნ. ნუცუბიძე (ჭუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), არ. კობახიძე (სილნაღი) და ვ. შანიძე (გურია). **სპეციალისტები:** აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. უნაფქოშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

მოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ხეგზე შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად ურნალი „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ".

ხელის მოწერის პირობები:

—1 მ. 50 კ., ექვსი თვით—80 კაპ., სამი თვით—40 კაპ.

კე ნომერი 15 კაპ.

წერა მიიღება ყველა ქოს-სამკითხველოებში და ქციაში შემდეგი მისამართით:

, **ვოლოდარსკის ქუჩა № 11. ჟურნალ „ახალი დაქციას.**



წარმატებას მუშების და გლეხების კავშირს!

ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 5—6 მაისი—ივნისი 1929 წ.

ძირითად გარდატეხისაკენ სასოფლო მეურნეობაში

მეხუთმეტე პარტყრილობამ სოფლად შომუშავე ძალებს დაუსახა მთელი რიგი ამოცანებისა, რომელთა შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობაში.

სოფლად კულტურული რევოლიუციის გაღრმავება, მიწადმოწყობა და კოლექტიური მეურნეობათა გამაგრება-გაფართოება—აი ის ამოცანები, რომელთა გადაუდებლად შესრულებაზე მიუთითა პარტყრილობამ.

ოქტომბრის რევოლიუციამ თავდაყირა გადმოაბრუნა ძველი ცხოვრება და გლეხის განათლებას, გაკულტუროსნებას ფართო გზა გაუხსნა.

მშრომელმა გლეხკაცობამ უნდა გაიგრძოს უ ოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა და სწავლას, განათლებას მოკიდოს ხელი.

მარტო ამ მხრივ მუშაობით გლეხი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მართალი არის, რომ მშრომელი გლეხკაცობის უმრავლესობას სწამს საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელი გლეხკაცობა მზადაა განათლება შეიტანოს თავის ცხოვრებაში, შექმნას ახალი ცხოვრება და ახალი სოფელი.

მხოლოდ საჭიროა, რომ ამოძრავებულს, ახალი ცხოვრების ძოსაწყობად მზად მყოფ მშრომელ გლეხკაცობას მიეცეს თავისუ ალი მიწები.

მაგრამ ცალკე ვეოც განათლება და ვერც მიწები ვერ შექმნიან სოფლის კეთილდღეობას.

მშრომელი გლეხკაცობა დამოუკიდებლად ძუშაობით, განკერძოებული ცხოვრებით ვერ შექმნის თავის კეთილდღეობას.

საამისოდ მას არც ძალა ეყოფა და არც ქონებრივი საშუალებანი. გლეხი ისევ უ ოდინარი დარჩება, კულაკს მიადგება კაზე და დაჩაგრული იქნება.

ხსნა მხოლოდ მძლავრ კოლექტიურ მეურნეობაში არის. მხოლოდ შეკავშირებულ, გაერთიანებულ მშრომელ გლეხკაცობის უმრავლესობას—ღარიბ და საშუალო გლეხს შეუძლია ყოველ გაჭირვების დაძლევა და ცხოვრების გარდაქმნა.

მხოლოდ ძლიერ კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული გლეხკაცობა შესძლებს მიიღოს სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად საჭირო სესხი, სესხი მიზანშეწონილად გამოიყენოს და წესიერად მოიხმაროს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, იყოლიოს აგრონომი და ისარგებლოს მისი რჩევა-დარიგებით

ასეთი გაძლიერებული მეურნეობა შეაძლებინებს მშრომელ გლეხკაცობას მჭიდრო კავშირი გაბას ქალაქის მუშათა კლასთან, მიაწოდოს მას თავის ნაბუშევრის ნაყოფი, მიიღოს მისგან ქალაქის ნაწარმოები და იყოლიოს ის საიმედო მოკავშირედ ყოველგვარ დაბრკოლებათა დაძლევის და ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეში.

Y 917

სოფლის მეურნეობა

საბონლის საქმის გაუჯობესებისათვის

წარსულმა არაჩვეულებრივმა ზამთარმა ჩვენ სოფლის მეურნეს მწვავედ დაუყენა საქონლის საკვების საკითხი.

თუ აქამდე მეურნეს თავისი საქონელი არამც თუ ჩვეულებრივ, არამედ არაჩვეულებრივ ზამთარშიაც იოლად გამოჰყავდა, დღეს ჩვეულებრივ ზამთარშიაც უძნელდება მისი რჩენა.

ეს არც ისე საკვირველია.

დღევანდელი მიწდვრის და აგრეთვე იმ ადგილების პირობები, სადაც ზამთრობით საქონელი თავს ირჩენს, ისე შეიცვალა, რომ მეურნეს აღარ შეუძლიან მათი იმ ზომამდე სარგებლობა, როგორც უწინ იყო.

აი რატომაც: ერთის მხრივ შემცირდა საძოვარ-სათიბების არე; ის, რაც დარჩა სათიბებიდან, იძლევა ნაკლებს და მდარე მოსავალს. სასოფლო საძოვრები უფრო მოტიტვლებულ და დანეხვიანებულ დატკეპნილ არეს წარმოადგენს, სადაც საქონელი უკვე ადრე გაზაფხულიდანვე ვეღარაფერს შოულობს.

ის ბაღ ვენახებიც, რომელშიაც მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომიდან საძოვარ ადგილებად გადიქცევიან ხოლმე, დღეს კულტურულ მეურნეობის შემოღების გამო, ბევრგან საქონლისათვის დაკეტილი შეიქნა.

მეორეს მხრივ საქონლის ნაწარმოებზე მოთხოვნილების და ფასების გადიდების გამო საქონლის კვება ისე, როგორც დღეს ჩვენი სოფლის მეურნე ჰკვებავს და ინახავს, უკვე აღარ შეიძლება, მაშასადამე საქონლის კვების წესებიც და თვით საკვების ხარისხიც უნდა სრულებით შეიცვალოს.

გარდა ამისა საქონლის ისეთი უწესოდ შენახვა, როგორც ჩვენში იციან, სოფლის მეურნეობას დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს. ჩვენი ეტისმეტად გამოფიტული და მწირი ადგილები დიდად საჭიროებენ საქონლის სასუქს, რომელიც საქონლის მომეტებულ ნაწილად თავისუფლად ყოფნის გამო უსარგებლოდ იკარგება სოფლის მეურნეობისათვის და ბევრგან სასუქის ნაკლებობას იწვევს.

ყველაფერი ეს ერთად და დღევანდელი მდგომარეობა აიძულებს ჩვენ მესაქონლე გლეხს თავის საქონლის მამაპაპურად შერახვაზე აიღოს ხელი, მოუაროს მას ისე, როგორც ამას ახალი სასოფლო-სამეურნეო განათლება ასწავლის და ამგვარად შეუდგეს თავის მესაქონლეობის გაუმჯობესებას.

მესაქონლეობის გაუმჯობესების საკითხთან ყველაზე უფრო მჭიდროთ დაკავშირებულია საკვების გაუმჯობესების საკითხი.

ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ რა დეხადაც კი შეიძლება საქონლის საკვები გავაუმჯობესოთ. ჩვენ მესაქონლეებმა ძტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ საქონლის საკვებად არა მარტო თივა, ჩალა და ბზე ვარგა, არამედ მრავალგვარი მიწის მოსავალი. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა სახით და რამდენის მიცემა შეიძლება, რომ ამა თუ იმ საკვებისაგან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მივიღოთ.

საკვების გაუმჯობესებისათვის მრავალფეროვნობის მხრივ ჩვენში საუკეთესო ხელშემწყო პირობებია, ჩვენ არამც თუ შეგვიძლია ვიჭონიოთ ეტად სხვადასხვა სახის საკვები, არამედ დღესაც მრავალად მოგვეპოვება

ისეთი მიწის მოსავალი, რომელსაც ჩვენ არ ვუფრთხილდებით და არ ვიყენებთ საქონლის საკვებად, რადგან ჩვენმა მესაქონლე მეურნემ არ იცის მისი გამოყენება, მისი შენახვა-მომარაგება.

ავიღოთ, თუნდაც, საქონლის საკვები **გოგრა** ან **ჭარხალი**, რომლების მოყვანა ჩვენ მესაქონლეს ყოველთვის შეუძლიან თავის კარ-მიდამოზე, განსაკუთრებით გოგრისა, რომელსაც არც ცალკე ნაკვეთი და არც განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირია შემოსვლამდე. ღობე და ცოტა განაყოფიერებული ღობის ძირი საკმარისია, რომ მეურნემ გოგრისაგან საქონლის საკვების კარგი მარაგი გაიკეთოს საზამთროთ.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საკვებ **ჭარხალს** მოყვანასაც, რომელიც უხვი მოსავალი იცის და საუკეთესო საკვებად ითვლება მეწველ საქონლისათვის. გარდა იმისა, რომ ჭარხალი უხვ მოსავალს იძლევა, იმ მოვლა-პატრონობის ძეობებით, რომელიც მის მოყვანას სჭირდება, ნიადაგი სარეველ ბალახებისაგან საუკეთესოდ იწმინდება და იმავე დროს ის თითქოს ისვენებს თუ ნიადაგს ორ წელიწადში ერთხელ ვაინც გაანაყოფიერებთ.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში **კართოფილის** მოყვანას, რომლის გამოყენებას, როგორც საქონლის საკვებისას, ჩვენი მესაქონლე გლეხი აუცილებლად უნდა შეეჩვიოს. კართოფილმაც უხვი მოსავალი იცის და საუკეთესოდ აფხვიერებს და სწმენდს ნიადაგს სარეველა ბალახებისაგან და ამზადებს მას სხვა მცენარის მოსაყვანად.

რაც შეეხება საკვებ ბალახებს: **იონჯას, ესპარცეტას და კოინდარს**— მათ სარგებლობაში ჩვენი სოფლის მეურნე უკვე დარწმუნდა. ამის საბუთი ის შეკითხვებია, რომლებიც ჩვენს რედაქციას მოსდის. ხალხი თხოულობს ამ ბალახების თესლს, რომლის მარაგი, სამწუხაროდ, ჩვენს სათანადო დაწესებულებათა საწყობებში წელს მეტის-მეტად ნაკლები მოიპოვებოდა და მოთხოვნილება მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული.

იქედია მომავალში ეს ძოთხოვნილება უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. საჭიროა, რომ ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებსაც ეს საქმე შეეხება, მზად დახვდნენ და ამთავითვე ძიძღონ ზომები, რომ დროზე იქონიონ საკვებ ბალახების თესლის მარაგი.

საკვებ ბალახების თესლეულობაზე რომ მოთხოვნილება უფრო იმატებს ჩვენს გლეხობაში, ამის თავდები ის გარემოებაა, რომ ჩვენი მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის აგრო-დახმარების განყოფილება წელს უკვე შეუდგა საქონლის სამაგალითო—საჩვენებელ კვებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, რაც, ეჭვი არ არის, დიდათ წინ წასწევს ჩვენი საქონლის კვების გაუმჯობესების საქმეს და საკვებ მასალაზედაც მოთხოვნილება დიდათ იმატებს.

აგრ. ნ. ალნიაშვილი.



სად და რომელი ჯიშის ხეხილის გაშენება შეიძლება ჩვენში*)

ახალციხე-ახალქალაქის საბაღოსნო რაიონები.

ახალციხე-ახალქალაქის საბაღოსნო რაიონები მოთავსებულია ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. აქ ბაღები გვხვდება მდინარე ის შესართავში: ფოკხოვ-ჩაი, გობლიან-ჩაი, გზილხურ შენაკადით, ციხებათუ, ახალქალაქ-ჩაი. ხეხილი აქ გაშენებულია ხეობებში და აღწევს 4 ათას ფუტამდე ზღვის დონედან. ამ საბაღოსნო რაიონში კარგად ხეირობს შემდეგი ჯიშები:

ვაშლი: შამპანიური, ორლეანის, კანადის და ლანდსბერგის რენეტი, საზამთრო ოქროს ფერი **პარმენი, კანდილ სინაპი, აპორტი, სარი სინაპი, შახ-ალმა** ანუ სამეფო, **ფაშ-ალმა** ა უ **აბელაური, სულ-ალმა, თეთრი** ანუ მიხაკისფერი თეთრი, **აკარალმა, ბოსრა** ანუ **მახთრა.** ყველასათვის საძირედ სჯობია მაჟალო (ტყის ვაშლი).

მსხალი: **ბერე ბოსკი, სენ-ჟერმენი, კონგრესის სახსოვარი, გერმანული ბერგამოტი, ფერდინადი.** ადგილობრივ ჯიშებიდან: **ბეგ-ახმუდ, ნანაზისი** ანუ **ბეგიასი, კაბახ-არმუდ, თავრუჭული.** ყველასათვის საძირეთ გამოდგება პანტა (ტყის მსხალი).

ბალი: **ყვითელი დროგანისა, ყვითელი დენისენისა. რამონ ოლივისა.**

ქლიავი: **ვაშინგტონი, იტალიანური ვენგერკა,** მონფორი, **ბიულერტარის საადრეო ვენგერკა.** ადგილობრივი ჯიშები: **თამაში, ალიბუხარი, ჭანჭური.** (საჩირედ), **ჰოტალარიუკი, ოლარ-არიუკი.**

ბოკრჯომის ხეობა.

ვაშლი: **რენეტი შამპანიური,** კანადის და დიდი კასელის, საზამთრო ოქროსფერი **პარმენი.**

რაჭა-ლეჩხუმის საბაღოსნო რაიონი.

რაჭა-ლეჩხუმის საბაღოსნო რაიონი მოთავსებულია იმავე სახელწოდების მაზრებში მდინარე რიონისა და ცხენის წყალის ხეობებში და მათ შენაკადების შესართავებში. რაჭის მაზრაში ამ რაიონს უკავია მთელი ველი რაჭის მაზრისა და ნაწილი ზემო-რაჭისა, ხოლო ლეჩხუმის მაზრაში მებაღეობა ქვემო-სვანეთს არ სცილდება და ზღვის დონიდან 4 ათას ფუტამდე აღწევს. ამ რაიონებში კარგად ხეირობს:

ვაშლი: **თურაშაული** წითელი ანუ **ლეჩხუმური** ვაშლი.

მსხალი: **ხეჭეჭური.**

ლელვი: **თაფლა, თეთრი ლელვი, ბერძნული** ანუ დიდი ლელვი.

გურიის საბაღოსნო რაიონი.

გურიის საბაღოსნო რაიონი მდებარეობს ოზურგეთის მაზრაში. მეტი წილი ამ მაზრისა გამოუსადეგარია მებაღეობისათვის. თავისი მაღალმთიანი და ჭაობიანი ადგილებით. მებაღეობა განვითარებულია მხოლოდ შუად-გულ გურიაში მის ზეგნებში მდინარე ნატანების, სუფსის და მათი შენაკადების ხეობაში.

ვაშლი: **ფრანგული რენეტი. პიპინ პარკერისა,** რომლებსაც ადგილობრივად შავს ანუ ნაცარა-ვაშლას ეძახიან. **ასტრახანის თეთრი და წითელი, ყვითელი ბელფლიური, კალვილი წითელი შემოდგომისა, კანადის რენეტი, პარმენი ოქროს** ფერი საზამთრო, **დემირა-ვაშლი** ანუ თათრული, **ლიმონის ვაშლი.**

*) გაგრძელება. იხ. ჟურნ. „ახალი სოფელი" № 4.

მსხალი: ბერე-ამანლი, ბერე დილ, დიუშეს დ'ან ულემ, საზოგადო დეკანკა, პასს-კრასან ანუ მოკლე ყუნწა, კიური, ხეჭეური, ბია-მსხალი, თავრუჯული.

ქლიავი: (ტყემალზე) ანნა შპეტ, ვაშინგტონი, ვიქტორია ოტური, ალტანი, თეთრი ხილი, კორკიმელი, შავქლიავი.

ხურმა—ჩვ ულებრივი.

ატამი: ამადენი, მინიონ მსხვილი საადრეო, ვაშლ-ატამა (ნექტარინი).

ბალი (ბალზე): კახა-ბალი, ალიქ შელიქი.

თხილი: კერასუნდი, სტამბული, გულშიშველა, ჩხიკვის თავი, საივანობო, ცხენის ძუძუ ანუ შველის ყურა.

თხილის მოვლა-მოშენება ძალიან ფართედ არის დაყენებული ჩოხატაურის რაიონში, შემოქმედის, ლიხაურის და ბახვის თემებში.

ლეღვი: ოსინაური, შაქრის ლეღვი, კისანდური, თეთრ ლეღვა.

ხარისხი: (მანდარინი) უნშიუ, უნშიუ მიკან ანუ საცუმა.

საძირედ დაბალი ფორმის და აყალო ძირწებისათვის საუკეთესოა სამყურა გარეული ლიმონი (ტრიფოლიატა). უფრო მაღალი ფორმისათვის და მაგარი ნოტიო ადგილებისათვის ფორთოხალი, ლიმონი ძველი აჭარული და ტბილი ჯიშები.

სამეგრელოს საბაღოსნო რაიონი.

სამეგრელოს მებაღეობის რაიონს უჭირავს სენაკის და ზუგდიდის მაზრის საბაღოსნო ადგილები. სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ამ რაზრებისა დაფარულია მიუწდომელ მთებით, ამიტომ გამოუსადეგარია მებაღეობისათვის, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს ღრმა ჭაობებს და მოთავსებულია უმთავრესად მდინარე რიონის და ხობის შესართავებთან. ამიტომ საბაღოსნო კულტურა განვითარდა სენაკის და ზუგდიდის მაზრების მხოლოდ შუა ნაწილში 3500 ფუტამდე.

აძ რაიონს გურიის რაიონთან საერთო ჯიშნარი აქვს. ხოლო ლეღვის ჯიშნარი აქ უფრო მრავალრიცხოვანია, მაგალითად: ჩაფულა-ლუღი, ჩე-ლუღი, თეთრი ლეღვი, ბერძნული ლეღვი ანუ დიდი ლეღვი, შაქრის ლეღვი.

თხილის მოვლა-მოშენება გავრცელებულია ანაკლიის რაიონში.

აჭარისტანის საბაღოსნო რაიონი.

ბათომის სანაპიროების 600—800 ფუტი ზღვის დონედან.

ვაშლი: ნაცარა-ვაშლი ფრანგული რენეტი, პიპინ პარკერისა, შამპანიური რენეტი, კანადის რენეტი ასტრახანის თეთრი, დემირ-ალმა ანუ რკიის ვაშლი.

მსხალი: (ვაშლზე უფრო კარგად ხარობს) ბერე-ბოსკი ანუ ბერე ალექსანდრე, საზამთრო დეკანკა, ტყის სიმშვენიერე, ბერე კლერუო ანუ ლამაზი მახალი, სენ-ჟერმენი, ხეჭეური, კიფერის ნათესი.

ბალი: (საძირეთ გარეული ბალი) ყვითელი დროგანისა, ყვითელი დენისენისა, მაისის საადრეო, ნაპოლეონი, რამონ ოლიფისა, ალიქ-მელიქი.

ალუბალი: (საძირეთ ბალი) ბალზე უფრო სუსტათ იზრდება და ხაკლებ მოსავალსაც იძლევა (საჭიროა კირით შეპატივება) ინგლისური საადრეო დედოფალა ევგენია.

ქლიავი: (საძირეთ ტყემალი) აჟანის ქლიავი, ანნა შპეტი, იტალიანური ვენგერკა, ოტური ალტანისა.

იაპონური ქლიავი—(საძირეთ ტყემალი) კელსი, ვიქსონი, მუმე, სატსუმა.

ჭერამი და ნუში—რადგანაც ყვავილებს სწვავს სიცივე, მათი გამოვლებას არ გვირჩევენ.

ატამი: (საძირეთ ატამი და ტყემალი) ამსდენ, საადრეო ალექსანდ-

რე, ალბერტისა, მიუირ, სოხუმის ლაჟვარდის ფერი და **საგვიანო.**

თხილი: **ბადემი, კერასუნდი, სიფრი, სტამბული.**

წაბლი: **ნომბო, პარაგონ, მარონ-მერელ.**

ხურძა—ჩვეულებრივი.

ლეღვი—კარგად იზრდება, მაგრამ იძლევა ნაკლებ შაქრიან უგემო ნაყოფს.

ჟოლი: **მალბორო, მუდამ მომცინარე ბილლარდისა.**

ხუნწა: (შავი ხუნწა ბათომის სანაპიროებში არ ხარობს) **წითელი ალუბლისებური, თეთრი ალუბლისებური.**

მსხვილი ნაყოფიანი მარწყვი: კეთილშობილი **ლაქსტონისა,** ანუ ნობლ, შარპლესს, **ანანასური.**

სუბტროპიკული ხეხილები: ფორთოხალი—ჩვეულებრივი ადგილობრივი ანუ **ტრაპიზონის,** მსხვილი **მრგვალი უთესლო,** მსხვილი, მოგრძო უთესლო, ანუ **იავის** ანუ **იერუსალიმის;** საძირეთ ფორთოხლის უჯიშოები მჩატე ძიწებისათვის.

სამყურა ლიმონი—მოქვიშწარო მიწებისა და მაგარ სოველ ნიადაგებისათვის.

ნარინჯი (მანდარინი საძირეთ სამყურა ლიმონი) **უნშიუ, უნშიუ მიკან** ანუ სიტსუმა, **კლემენტინი,** მანდარინის და წვრილფოთლიანი ფორთოხალის გიბრიდები.

ლიმონი (საძირეთ სამყურა ლიმონი და ფორთოხალი) **ადგილობრივი მუავე, ადგილობრივი ტკბილი თხელკანიანი, ადგილობრივი ტკბილი სქელკანიანი, ასეევის სპარსული, პამპელმუსი, ციტრონი, კინკანი.**

იაპონური ზღმარტლი (საძირედ იაპონური ზღმარტლი და კომში)

იაპონური ხურმა არუკაკი, საძირეთ აყალო მიწაზედ იაპონური ხ რმა, ქვიშნარ ნიადაგისათვის ჩვეულებრივი ხურმა, ანუ ბრაზილიის ანუ ურაგვაის ფეიხოი.

ᲫᲕᲔᲛᲪ ᲐᲭᲐᲠᲐ ᲐᲜᲣ ᲐᲭᲐᲠᲐ-ᲫᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

ვაშლი: რკინის ვაშლი ანუ **დემირალმა.**

მსხალი: **ხეჭეჭური,** სხვა ჯიში ცუდათ ხარობს.

ქლიავი: **ჰანჭური, იტალიანური და მწვანე ოტური.**

ბათომის სახაპიროებში და ქვემოაჭარისტანში შესაძლებელია თხილის, ჩაის, მანდარინის და დაფნის კულტურა.

ზემო-აჭარისტანში გაბატონებულია ვაშლის და მსხლის კულტურა.

მებაღეობის სპეციალისტი
მ. ჭარცივაძე



ჭარხლის მოყვანა.

(გაგრძელება *)

II. ჭარხლის პლანტაციის მოვლა.

დათესვის ათი-თორმეტი დღის შემდეგ ზოგჯერ უფრო ადრეც, აძვრება ჭარხალი.

ამავე დროს იზრდება და მრავლდება სარეველა ბალახიც

როდესაც ახლად ამოსული ჭარხალი ხნულზე კარგად დაინახავს ყველს მწვანე ზოლად, საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეთ თოხვას.


თოხნას ორნაირი მნიშვნელობა აქვს: თოხნით ჩვენ ვანადგურებთ სარეველა ბალახა და ამავე დროს ვაფხვიერებთ ნიადაგის ზედაპირს.

ნიადაგის გაფხვიერებით ხელს ვუწყობთ აგრეთვე ხელს უწყობს ჭარხლის ჩქარ ზრდას.

თუ გათოხნა დაგვიანდა, სარეველა ბალახი მოერევა, ჭარხალი დაიჩაგრება და მოსავალს ნაკლებს მოგვცემს.



დაუთოხავებული ადგილი: 1. კან გადაკრული ნაწილი; 2. გაფხიერებული ნაწილი



საჰმელი ჭარხალი

ის შეთხვევაში, თუ ბალახი ცოტაა ან ხნულზე ქერქი არაა გადაკრული, შესაძლებელია თოხის მაგიერ ხელის ან ცხენის მათოხი ვიხმაროთ. მათოხი უშაობას აჩქარებს და აიაფებს, თუ ცა თოხით უფრო კარგად ფხვიერდება მინდორი.

პირველ თოხნის დროს თუ შევამჩნიეთ მოცდენილი ადგილები, საჭიროა ჭარხალი მეორეთ ჩავთესოთ. პირველ თოხ ას ბევრი მუშა არ სჭირდება, საკმარისია 8—10 მუშა ხელი ჰექტარზე. რუსეთში და უკრაინაში ამ თოხ ას პლანტაციებზე ქუშა-ქალები აწარმოებენ.

ნათესების შეთხელება.

პლანტაციის გათოხნის რამდენიმე დღის შემდეგ და ზოგჯერ თოხნის დასრულებისას მაშინათვე ათხელებენ ჭარხლის ნათესებს. ამ მუშაობის დროზე ჩატარებას უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოსავლის რაოდენობი ათვის, ე ჭარხლის შაქრიანობისათვის.

პლანტაციის შეთხელება უკვე გაცილებით მეტ მუშა-ხელს ითხოვს

შლით ნიადაგის ზედაპირის აორთქლებას და გაშრობას და ამ როგათ ვიხახავთ ნიადაგში იმ სინესტეს, რომელიც მცენარის ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. გაფხვიერებულ ნიადაგს ჰაერიც ადვილათ უვლის და მცენარეს ფესვებამდე სწვდება, რაც

*) იხ. ჟურნ. „ახალი სოფ." № 3.

—დაახლოვებით ოციდან ოცდაათამდე ჰექტარზე. ამ მუშაობას დახელოვნებული, გამოცდილი მუშები ესაჭიროება. მუშაობა 3—4 დღეში უნდა დამთავრდეს.

რათ ესაჭიროება პლანტაციას შეთხელება.

ჭარხალი ყოველთვის სქლათ ითესება და რომ არ შეეთხელოთ, მცენარე ერთი მეორ ს ზრდას და განვითარებას დაუშლის. **შეთხელება დაახლოვებით მაშინ უნდა, როდესაც ჭარხალი ოთხ ფოთოლს გამოიტანს.** შეთხელების დროს ძცენარე მცენარისაგან 18—30 სანტიმეტრით (4—7 ვერშოკი) უნდა დავაშოროთ, საშუალოთ კი—22 სანტიმეტრით (5 ვერშოკი). ამნაირათ, თუ რიგებს შორის ჩვენ $35^1/_2$ სანტიმეტრი (8 ვერ.) გვაქვს, მაშინ ჭარხლის თითო ძირს ექნება 177 კვადრატული სანტიმეტრი ($2^1 \times 35^1/_2$) ანუ 40 კვადრატიული ვერშოკი **კვების მოედანი.**

კვების მოედანის მნიშვნელობა.

საერთოდ მიღებულია ყველა მცენარისთვის, რომ რაც უფრო დიდი კვების მოედანი აქვს, იმდენათ მეტ



ჭარხლის შეუთხელებელი ნათესი

მოსავალს იძლევა. ამ წესით სარგებლობენ მაშინ, როდესაც საქონლის ჭარხალი მოჰყავთ. მაგრამ შაქრის ჭარხლის მოყვანის დროს კვების მოედანის გადიდება თუ ცა მოსავლის გადიდებას იწვევს, მაგრამ ლაწყობას აგვიანებს და ბოლოს ჭარხალი რაკლებ მაქრიანი გამოდის. ამიტომ ზემოთ მოყვანილ ხორმაზე მეტი კვების ძოედანის გადიდება არ არის საჭირო.

ჭარხლის შეთხელების წესები.

არსებობს ჭარხლის შეთხელების ორნაირი წესი: ერთ შემთხვევაში



თანაბარ მანძილზე შეთხელება ნათესისა

ვაწარმოებთ ეგრედწოდებულ წესიერ შეთხელებას, ე. ი. მცენარეს მცენარისგან ვაშორებთ განსაზღვრულ მანძილზე ყველა რიგებში—მაგალითად,



უსწორ-მასწორად შეთხელება ნათესიხა

22 სანტიმ-ტრით. რიგებში ვტოვებთ როგორც თაბამს და ღონიერს, ისე ნაგალა და სუსტ ძირებსაც.

მეორე შემთხვევაში ყველა დარგულ და სუსტ ძირებს ვსპობთ და მხოლოდ თაბამს და ღონიერ ძირებს ვტოვებთ; მაშინ მცენარე მცენარისაგან თანაბარ მანძილზე აღარ იქნება დაშორებული.

მეორე წესით შეთხელებას უსწორ-მასწორო შეთხელებას ეძახიან.

თუ მკვიდრი კარგად განვითარებულია, მაშინ უფრო მისაღები იქნება პირველი წესით შეთხელება, ესე იგი, თანაბარ მანძილზე დატოვება ჭარხლისა. ევროპაში დიდი ხანია შემოღებულია ჭარხლის მანქანით შეთხელება. ასეთი მანქანები რუსეთშიაც გაჩნდა 1905 წლიდან. ამ მანქანით მუშაობა მუშა ხელის რიცხვს 40%-ით ამცირებს და ამავე დროს ჭლანტაცია თან ითოხნება. ჩვენში ჯერ ასეთი მანქანა არ მოიპოვება.

რიგების შემოწმება.

როგორც უნდა ვაწარმოოთ რიგების შეთხელება, მაინც მოხდება, რომ ბევრი შეუთხელებელი ადგილი დარჩება—(ერთ ადგილიდან 2—3 მცენარე ერთად ამოსული). ცხადია, მათი დატოვება ასე არ შეიძლება. ამ მეორე შეთხელებას ეძახიან რიგების (მწკრივების) შემოწმებას. ამ მუშაობას ჰექტარზე დასჭირდება 4—5 მუშა. ამით თავდება პირველ ხანში მუშაობა, რომლის დაგვიანებაც დიდ ზიანს მისცემს პლანტაციას.

მუშაობის მეორე ხანა.

მუშაობის მეორე ხანა იწყება ივნისის შუა რიცხვებში—რიგების შემოწმების 2—3 კვირის შემდეგ—მეორე თოხნით. აქ მუშა ხელი ნაკლები უნდა, ვიდრე პირველ თოხნის დროს. მეორე თოხნას მოსდევს მესამე და ზოგჯერ მეოთხე თოხნაც.

თოხნას მაშინ ვათავებთ, როდესაც მცენარე თავის ფოთლებით დაჰფარავს რიგებს შორის თავისუფალ ადგილებს. მაშინ თოხნა აღარაა საჭირო: გაშლილი ფოთლები სარეველა ბალახს აღარ გააჭაჭანებენ—და მეორეს მხრივ—თოხით შეიძლება ფოთოლი დავაზიანოთ.

უკანასკნელი თოხი ჭარხალს აგვისტოს ბოლოში უნდა.

საერთოდ საქონლის საკვებ ჭარხალს თოხნა და მოვლა გაცილებით ნაკლები სჭირდება, ვიდრე შაქრის ჭარხალს.

ჭარხლის ძირი თავის ზრდას ზაფხულის ბოლოში ამთავრებს და სექტემბრიდან იწყებს შაქრის დაგროვებას, რომელიც ჩვენში ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ჭარხლის სიმწიფეს ფოთლების გაყვითლებით ვიგებთ.

ჭარხლის პლანტაციის გაპატიება.

როგორც საქონლის, ისე შაქრის ჭარხალი ძალიან აღარიბებენ ნიადაგს და საჭირო ხდება ნიადაგის გაპატიება.

საუკეთესო შედეგებს იძლევა **საქონლის ნეხვით გაპატიება**, იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგის გაპოხიერების შემდეგ ჯერ ხორბალს დავთესავთ და მეორე წელს კი ჭარხალს. მაგრამ ცდები ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია პირდაპირ ჭარხლის პლანტაციაც გავაპატიოთ ნეხვით, მხოლოდ ნეხვი კარგად დაჭვარი უნდა იყოს და შემოდგომითვე შეტანილი.


სუმის (უკრაინა) საცდელი სადგური საქონლის ნეხვის გავლენაზე ასეთ ცნობას გვაძლევს:

1 დესეტინაზე	ხორბალი	ჭარხალი	შვრია
გაუპატიებელ მინდორს მოუკია . . .	137 ფ.	1.164	91
გაპატიებულს (1.700 ფ. ნეხვი) მოუკია .	168 „	1.560	91
„ (3.600 „ „ „	190 „	1.848	117

სხვა საცდელი სადგურებიც ადასტურებენ პატივის ასეთ გავლენას.

რაც შეეხება მინერალურ (ხელოვნურ-ქიმიურ) სასუქების მოქმედებას და აგრეთვე ჰარხლის მოსავლიანობას ჩვენში, ამის შესახებ შემდეგში ვისაუბროთ.

აგრ. ი. ქურდიანი.



მანდარინის სანერგის მოწყობა

ადგილის ამორჩევა.

მანდარინის სანერგისათვის უნდა ამოვარჩიოთ გაშლილი და მზიანი ადგილი, ქარისაგან და ჰაპა აქება სიცხისაგან კარგად დაფარული. საფარად შეიძლება იყოს ტყე და საზოგადოთ ხეები, შენობები ან ღობე.

თუ სანერგე მარტო საოჯახოთ გვინდა, მაშინ საკმარისი იქნება 50—100 ოთხკუთხი საჭენი მიწა. ამ ზომის სანერგე შეიძლება ბოსტანშიც გამართოთ. მიწა უნდა იყოს ფხვიერი და სარეველა ბალახისაგან გაწმენდილი. კარგია, თუ სანერგის ნიადაგიც ისეთია, როგორიც მომავალი მანდარინის ბაღის ნიადაგი იქნება.

ნიადაგის დამუშავება.

სანერგისათვის არჩეული ადგილი უნდა დაიბაროს 24—32 სანტიმეტრის (6—8 ვერშოკის) სიღრმეზე და გაიწმინდოს ქვისაგან, ძირებისაგან და ბალახებისაგან.

მკვრივ და მძიმე თიხნარ მიწას სჭლა და გადამწვარი (გადამგბარი) ნაკელი (ნეხვი) უნდა შეერიოს. როცა გორახ-ბელტები დაიშლება, მიწა ხელმეორედ უნდა დაიბაროს და კარგად აერიოს ერთმანეთში მიწა, სიდა ნაკელი. დათესვის წინ მიწა ერთხელ კიდევ უნდა გადაიბაროს ზერელედ, დაიფოცხოს, ზედაპირი გასწორდეს, კვლებად დაიყოს და დაითესოს.

მანდარინის საძირე.

მანდარინი „უხშიუ"-სთვის ყველაზე უფრო საუკეთესო საძირედ გარეული, სამყურა ლიმონი (ციტრუს



სამყურა ანუ გარეული ლიმონი ბალის მარწყვის ბუჩქი

ტრიფოლიატა) ითვლება. ეს ლიმონი ადვილად ეგუება ყოველგვარ ნიადაგს და ყინვების კარგი ამტანია (20° ცელსის) ამ ამტანობას ნაწილობრივ მასზედ დამყნილ ნარინჯოვანსაც გა-

დასცემს ხოლმე. ამ საძირეზე დამყნილი მახდარინი ჩქარა იზრდება, ნაყოფს ადრე ისხამს და ბლომათ.

სამყურა ლიმონი შეხედულობით ბუჩქს წააგავს, რო ელსაც მაგარი, დაგრეხილი და ეკლებით შემოსილი ტოტები აქვს. ფოთლები სამ-ყურა აქვს, რომელ ც ზამთრ ბით სცვივა. ყვავილი—წვრილი, თეთრი ფერის და კარგ სუნიანი. ნაყოფი რგვალი, წვრილ , ყვითელი ფერისა და განსაკუთრებული სუნი ა აქვს. ეს მცენარე საქართველოში საკ აოდ გავრცელებულია, ის ბევრ ადგილას გვხვდება. სამყურა ლიმონი საუკე ესო ცოცხ-ლ ღობეთაც ითვლება.

საძირეს თესლის შენახვა.

გარეული, სამყურა ლიმონის თესლი ოქტომბერში მოიფდება; თუ ნაყ ფს თესლი შემოვაცილეთ, ის აღმოცენების უნარს მალე კარგავს, ამისათვის საჭიროა თესლი მაშინვე დაითესოს, როგორც კი ნაყოფიდან ამოვიღებთ, ნოემბერში ან დეკემბერში.

სამყურა ლიმონის თესლი წყლიანია, ძლიერ ადვილად ოფლიანდება და ობდება, ამიტომ გადაგზავნის დროს, ან შინანახად დათესვადი, უნდა აერიოს ორ წილ ნახშირის ფხვნილში; ნახშირი თესლს დაობებისა და გაფუჭებისაგან იცავს.

საძირის თესვის დრო.

გარეულ ლიმონის თესლის დასათესად საუკეთესო დრო ძეძოდგომაა (ნოემბერი და დეკემბერის დასაწყისი), მაგრამ თუ ამ დროისთვის მიწა მომზადებული არ არის, მაშინ უმჯობესია თესლი ნაყოფიდან არ გამოვილოთ და მიწის დამზადებამდე ნაყოფად შევინახოთ.

კვლები სიგანით არშინ ნახევარზე მეტი არ უნდა იყოს, ამ ზომის კვლებზე ადვილია მუშაობა. კვალს და კვალს შუა ბილიკი ნახევარი არშინის სიგანის საკმარისია. კვლებზე რომ წყალი არ დაგუბდეს, საჭიროა მათი ამაღლება 8—12 სანტიმეტრით (2—3 ვერშოკი) მიწის პირიდან.

თესლი უნდა დათესოს მწკრივად. თოხის ტარის წვერით კვლის გარდიგარდმო გაყავთ ოთხი სანტიმეტრის (ერთი ვერშოკის) სიღრმის ზოლები, შ მდეგ ამ ზოლებში, თესავენ თესლს ოთხი-რვა სანტიმეტრის (1—2 ვერშოკის) დაშორებით ერთი-მეორეზე. ზოლს და ზოლს შუა 16 სანტიმეტრი (4 ვერშოკი) სრულიად საკმარისია.

დათესილ კვლებს კარგი ნეშომპალი უნდა დააყაროთ ორი თითის სისქეზე და შემდეგ კარგად მორწყოთ.

სანერგის მოვლა-პატრონობა.

ახლად დათესილი კვლები იცლიან ფრჩხით (ძეძვი, გლედიჩი, ბაძგარი და სხვა ამგვარი) უნდა დაიფაროთ ფრინველების და თაგვებისაგან დასაცავად.

მარტიდან ნათესებს კარგი თვალყურის დევნა უნდა, რომ კვლების ზედაპირი არ გაიშრეს, ამისთვის საჭიროა ნათესის ხშირად და კარგად მორწყვა. საღამოობით ბაღის ჩასვლისას.

სამყურა ლიმონის კვლებზე თესვა არ არის ხელსაყრელი და თითქმის საზარალოა. ბევრი თესლი იკარგება, ნიადაგი რეცხავს და თან ძიაქვს, ან იძდენ მიწას მიაყრის, რომ თესლი ვეღარ ამოდის. თესვის კანონით თესლს უნდა დაეფაროს თესლის სისქის ოდენა მიწა, კვლებზე კი ამ წესის შესრულება მოუხერხებელია.

თესლის დათესვა სჯობია ყუთებში, ამ შემთხვევაში მეტი თესლი ღივდება. ყუთის სიმაღლე 12 სანტიმეტრი კმარა და იმ სიდიდის უნდა იყოს, რომ ძისი გადატანა მიწით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ადვილი იყოს. მიწა უკეთესია კომპოსტის, მსუბუქი, ქვიშაში არეული, რომ მორწყვის დროს ქერქი არ გაიკეთოს. ყუთში ჩასაყარად კომპოსტის მაგიერ ბოსტნის კარგი მიწაც ვარგა გადამწვარი ნაკელით და სილით ერთმანეთში არეული. ითესება მწკრივად და უფრო სქლად, ვინემ

კვალზე, თესლს უნდა წაეფაროს იმდენი მიწა, რაც თესლს სისქე აქვს, ე. ი. ერთი და ერთი მეოთხედი სანტიმეტრი.

ამოსვლამდე ნათესს სინათლე არ უნდა, ამიტომ უმჯობესია ყუთები ჩრდილში დაიდგას, რომ სინესტე ჰქონდეს და არ გამოშრეს. როცა ამოსვლას იწყებს, (საჭიროა ერთ თვემდე და სითბო 15° ცელსით) ყუთები ნახეზე უნდა გაიტანოთ, რომ ახალ ამოსული მცენარე არ გაიძაბოს. მორწყვა ხშირად და უხვად უნდა, რადგან ამომავალი მალე შრება.

როცა კვლის ან ყუთის ნათესი მესამე ფურცელს გაიკეთებს, მაშინ შეიძლება და საჭიროა მათი ახალ კვალზე გადარგვა.

ნერგის გადარგვა.

საძირეების ნორჩი ნერგების გადასარგავად მიწა ისე უნდა დამზადდეს, როგორც დასათესად (დაბარვა, სასუქის შეტანა, კვლებად დაყოფა და სხვა). ასე მომზადებულ კვალზე თოკით აღნიშნავენ 4 ხოლს, 16—20 სანტიმეტრის დაშორებით ერთმანეთისაგან. შემდეგ ამ წრეებში ჩარგავენ ნერგებს 16—20 სანტიმეტრის (4—5 ვერშოკის) დაშორებით.

კვალი, ან ყუთი, საცა გადასარგავი ნორჩი ნერგია, კარგად უნდა მორწყოთ, შემდეგ ფართე და ბლავი დანით, ან ხის ტაბანით მიწიდან ამოიღებთ 3—4 ძირს ერთად; ამოღებულ ნერგს ყუთში, ან კალათში წააწვენთ და ფესვებზე მიწას დააყრით.

დარგვის დროს ფესვები უნდა დაუმოკლოთ ფრჩხილით ან დანით დაახლოვებით სიგრძის ერთ მესამედზე. ეს ხელს უწყობს გვერდის ფესვების განვითარებას.

გაყვანილ ხოლში ნერგი ისე უნდა დაირგოს, როგორც თუთუნი (თამბაქო), ან კომბოსტოს ჩითილი მოკაუჭებული ხის პალოთი. პალოსაგან გაკეთებულ ხვრელში ერთი ხელით ნერგს ჩასდებთ, მეორე ხელით კი იგივე პალო ნერგის გვერდით უნდა ჩაურჭოთ და მიწის მიწოლით ნერგს ფესვები მიუტკეპნოთ. დარგვის შემდეგ ნერგები კარგად უნდა მორწყოს მზია ჩასვლისას. ერთ მუშას დღეში შეუძლია დარგოს 3 ათას ძირამდე.

თუ ნერგის გადარგვა თავის დროზე ვერ მოახერხეთ, მაშინ უკეთესია ნერგი ისევ კვალზე დარჩეს. საცა ნერგი სქლად არის, იქ უნდა შემოჭრდეს (შეთხელდეს) და ამოღებული ნერგი ახალ კვალზე გადაირგოს იმ ანგარიშით, რომ როგორც დატოვებულ, ისე ახლად გადარგულ ნერგებს შორის 16—20 სანტიმეტრის (4-5 ვერშოკის) ძანძილი დარჩეს.

ნერგის პატრონობა.

ზაფხულის განმავლობაში კვლები, რომელზედაც დათესილი ან დარგული საძირის ნერგებია, უნდა გაფხვიერდეს (პატარა ხელის სამთითა თოხით), გაიმარგლოს და საზოგადოთ სუფთად უნდა ინახებოდეს. მორწყვა ხშირად არ უნდა, უკეთესია იშვიათად, მაგრამ კარგად და უხვად. მორწყვისთვის საუკეთესო დრო საღამოა. მოსარწყავად წძიხდა წყლის მაგიერ უკეთესია ნაკელის (ხეხვის) წვენი, ან წყალში გახსნილი ახალი ნაკელი.

ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ დასავლეთ საქართველოს ეწერი მიწები, საცა მანდარინა ხარობს, ღარიბია აზოტით, კალიუმით და კირით. ჩვეულებრივ კი ნერგის მყნობა მეორე წელიწადს ხდება. მეორე წელიწადს ნერგებს ისეთივე მოვლა უნდა, როგორც პირველ წელიწადს.

აგრ. ერ. ნაკაშიძე.





თუთის ხის გავრცელება და მოვლა.

საქართველოს ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელშემწყობია მეაბრეშუმეობის გავითარებისათვის და საუკეთესო მომავალიც აქვს. მაგრამ მეაბრეშუმეობის განვითარება-გაფართოვებისათვის აუცილებლივ საჭიროა გვქონდეს საკმარო თუთის ხეც, რომელიც იძლევა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ მასალას-ფოთოლს.

ამიტომ აუცილებელია ჩვენმა მეურნე-მეაბრეშუმემ იცოდეს თუთის ხის გამრავლების და მისი მოვლის წესები.

თუთის ხის გამრავლება

თუთის ხის გამრავლება შეიძლება სხვადასხვა წესით, მაგრამ ყველას თესლით გამრავლება სჯობია; ამისთვის უნდა შეკრიბოთ თუთის ხის სრულებით დამწიფებული ნაყოფი, 1—2 დღე კიდევ გააჩეროთ და შემდეგ ხელით გასრისოთ წყლიან ვედროში; ვედროდან გადაწურეთ წყალი, რომელსაც თან გადაყვება მჩატე და უვარგისი თესლი; ფსკერში დარჩენილი თესლი კი გაატარეთ წმინდა საცერში და გარეცხეთ წყლით, ვიდრე თესლს რბილი ნაწილები არ მოშორდება.

1 ფუთი თუთის ხის ნაყოფიდან გამოდის 400 გრამამდე (1 გირვანქამდე), წმინდა თესლი; თუთის თესლი ძლიერ წვრილია და 400 გრამში 200 ათასამდე მარცვალია.

როდის ითესება თუთის თესლი

თუთის თესლი სჯობია დამზადებისთანავე დაითესოს. თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ გაზაფხულზე.

თესლის დასათესად ადგილი წინასწარ უნდა მომზადდეს—მიწა დაიბაროს, გასწორდეს და გაკეთდეს 80 სანტიმეტრის (20 ვერშოკის) სიგანის კვლები; ამ კვლებზე თუთის თესლი უნდა დაითესოს მწკრივებად 20—20 სანტიმეტრის დაშორებით ერთმანეთზე; თესლი რომ თანაბრად დაითესოს, მიუმატეთ თანასწორი წონის სილა, კარგათ აურიეთ, დათესეთ კვლებზე გატარებულ ხაზებში და ზევიდან წააყარეთ ერთი თითის სისქეზე ფხვიერი მიწა, რის შემდეგ კარგათ მორწყეთ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

რადგან თუთის ხის ახლათ აღმოცენებული ნერგი ძლიერ სუსტი და ხაზია და რომ ის ეზის სხივების სიცხოველეს არ დააზიანოს—საჭიროა დათესილ კვლებს დაკეპილი ჩალა ან მშრალი ფოთოლი მოაყაროთ.

8—15 დღის შემდეგ თუთის თესლი ღივდება და **ახალგაზრდა ნერგი** ამოდის, რომელსაც გამარგვლა, ხიადაგის გაფხვირება, და თუ საჭიროა, მორწყვა სჭირია.


ნორჩი მცენარეები გაათხელეთ, იმ ანგარიშით, რომ მცენარეთა შორის დარჩეს 2—$2^1/_2$ ვერშოკი მანძილი.

ამ კვლებზე თუთის ხის ნერგები შეიძლება მეორე წლის განმავლობაშიც დარჩეს, რის შემდეგ თუ გასაყი-

დათ გვინდა გადარგავთ სანერგეში ან და სამუდამო ადგილზე: პირველ შემთხვევაში მცენარეთა შორის მანძილი უნდა იყოს 72 სანტიმეტრი (1 არშინი), მეორე შემთხვევაში კი — არა ნაკლებ 6 მეტრ-ნახევარის.

გადარგვა

ნერგების გადარგვა ხდება ფოთლების ჩამოვარდნის შემდეგ კვირტების გაღვიძებამდე, ვიდრე ძ ენარე ისვენებს. მაგრამ სადაც და როდესაც არ უნდა ვრგავდეთ თუთის ხის ნერგებს, საჭიროა ორმოების წინასწარ (1 თვით ადრე მაინც) მომზადება. ორმო უნდა იყოს სიღრმით 54 სანტიმეტრი (12 ვერშოკი) და სიგანით არა ნაკლებ 72 სანტიმეტრისა (1 არშინისა). ჩარგვის წინ ნერგს ფესვები დაუმოკლეთ ერთი მესამედით მკვრელი იარაღით და ჩარგეთ მომზადებულ ორმოებში იმ სიღრმეზე, რა სიღრმეც მას ჰქონდა კვლებზე ან სანერგეში ზრდის დროს.




ხურ. 1. წესიერად გასხლული თუთის ხე (მესამე წელში). სწორად გაზრდისათვის მისობილი აქვს სარი.

გადარგვის შემდეგ თუთის ხეები უნდა გადასჭრათ 9 სანტიმეტრის (2 ვერშოკის) სიმაღლეზე ძირიდან მცენარეში წვენის მოძრაობის დაწყებამდე.

გადაჭრილ ადგილას გამოვა რამდენიმე ყლორტი, რომელთაგან დასტოვებთ მხოლოთ ერთს — საუკეთესოთაგანს, დანარჩენს კი ოსპობთ იმავე წლის ივნის — ივლისში.

გადარგვის შემდეგ მეორე ან მესამე წლის გაზაფხულის ადრე ხეს უნდა მივსცეთ შესაფერი სახე იმ მიზნით, რომ შემდეგში ამ ხეების მოვლა უფრო გაადვილდეს და ფოთლის მოსავალიც მეტი გვქონდეს.



ხურ. 2. წესიერად გასხლული თუთის ხე (მეოთხე წელში)

ხის სახის გამოკვეთა


ამ განზრახვით მეორე ან მესამე წლის გაზაფხულზე ღეროს ვასხლავთ ქვევიდან და ტანის შუა ნაწილზე ამოსულ ყლორტებიდან ვირჩევთ სამს კარგათ განვითარებულ ტოტს და მესამე ზევითა ტოტის კოტა ზევით ვსჭრით მთლიანათ თვით ღეროსაც; თვითეული ყლორტი კი საჭირო და ვამოკლოთ სამ კვირტზე, (იხ. სურ. 1), საიდანაც იმავე წლის განმავლობაში განვითარდება 6 ყლორტი მაინც.

შემდეგი, მესამე ან მეოთხე წლის გაზაფხულზე ეს ექვსი ტოტიც უნდა დავამოკლოთ ორ-ორ კვირტზე, რის შემდეგაც მივიღებთ უკვე 12 ტოტს და ასე შემდეგ; ამნაირი გასხვლით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მივიღოთ 48 ძირითადი ტოტი და რომელთაც ისეთი მიმართულება უნდა მივცეთ, რომ მთელ ხის ჭალს (თაღს) ბურთის მოყვანილობა მიეცეს (იხილე სურ. 1, 2, 3).

ხის მოვლა

ამასთან ერთად თვალყური უნდა ადევნოთ, რომ თუთის ხის ტანზე ზედმეტი ყლორტი არ ამოვიდეს და თუ ასეთი გაჩნდა—დაუყოვნებლივ უნდა მოსპოთ.

ამის გარდა საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება. სარეველა ბალახების მოსპობა და იქ, სადაც თუთის ხე მოურწყავათ ვერ ხეირობს მორწყვათ კიდეც.



სურ. 3. თუთის ხე მეხუთე წელში. ხაზები ა გვიჩვენებენ იმ ადგილებს, სადაც უნდა გაიკრას ტოტები

ამგვარი მოვლა თუთის ხეს 6—7 წლის განმავლობაში სჭირდება და მხოლოთ ამის შემდეგ შეუძლია ძოვცეთ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ფოთოლი.

ფოთლის მოკრეფის დროსაც კი ვსხლავთ თუთის ხეს, ვაჭრით მას ერთწლიან ტოტებს; ეს მუშაობა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ თუთის ხემ შემდეგშიაც რაც შეიძლება მეტი და ნოყიერი ფოთოლი მოგვცეს და თვით მცენარეს ისეთი სახე ეიღოს, რომ ფოთლის მოკრეფა ადვილი გახდეს. ერთ-წლიან ტოტების გამოჭრის დროს ხელუხლებლათ უნდა დარჩეს თუთის ხის ძირითადი ტოტები, რომლებზედაც იმავე ზაფხულის და შემდგომის განმავლობაში მომავალი წლისათვის წვრილი და გრძელი ტოტებს ამოიყრის.

ნოყიერ ნიადაგზე ან როდესაც ხელოვნურათ ვანოყიერებთ თუთის ხეებით დარგულ ადგილს—ფოთლის მოკრეფა და თუთის ხეების დაბელვა ყოველწლივ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ორ წელში ერთხელ (იხ. სურ. 4).

ყოველწლიურათ ფოთლების მოკრეფა მცენარეს ასუსტებს და ამის საწინააღმდეგოთ უნდა მივიღოთ შემდეგი ზომები: ადრე გაზაფხულზე, ვიდრე კვირტები გაიწლებოდეს, გადაბარეთ თუთის ხის ირგვლივ 2 არშინის სიგანეზე წრე. ასეთივე გადაბარვა, ერთი ბარისპირზე, საჭიროა განმეორდეს ფოთლების მოკრეფის ან ტოტების ჩაჭრის შემდეგაც.

ამის გარდა ხშირათ საჭირო ხდება ნიადაგის გაბოყიერება, რისთვისაც საკმაოა შეიტანოთ ნიადაგში თუთის ნარგავების თითო ძირზე 16 კილო (თითო ფუთი) გადამწვარი



სურ. 4. თუთის ხე, რომელსაც გახშვლის დროს ბურთის სახე აქვს მიღებული


ნეხვი და გაზაფხულზე, პირველათ დაბარვის დროსვე ჩაბაროთ ნიადაგში.

მოზრდილი თუთის ხეებისათვისაც საჭიროა დროგამოშვებით მორწყვა, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ

თუთის ხეს ზედმეტი სინესტე ვნებს და საჭიროა ზომიერების დაცვა; ხის ირგვლივ წყალი არ უნდა დაგუბდეს დიდი ხნით. ჩვეულებრივ პირობებში, თუთის ნარგავები საკმარისია ზაფხულის განძავლობაში მოირწყას 3 ჯერ: პირველად ფოთლების გაშლის დროს, მეორედ ფოთლების მოკრეფის და დაბელვის შემდეგ და, მესამედ—შუა ზაფხულში, თუ გვალვები დაიჭირა.

ძველი ხეების განახლება

გლეხის მეურნეობაში, ხშირათ **ძველათ დარგული** თუთის ხეებიც არის, რომელთაც არ აქვს მოვლა და ამიტომ ცუდათაც იზრდება. ამგვარი ხეების გამოსწორება შეიძლება. დაკვირ-



სურ. 5. თუთის ხე, რომელსაც გაახალგაზრდავება სჭირია. ხაზები ა უჩვენებს იმ ადგილებს, სადაც უნდა გადიხერხოს ტოტები. წვრილი ტოტები კი ბ სრულებით უნდა აისხიპოს

ვებით დაათვალიერეთ ის თუთის ხეები, რომლებიც კარ-მიდამოზე იზრდება და თუ სქლათ დგანან შეათხელეთ, მოჭერით ან ამოაგდეთ უფრო სუსტი ან ავადმყოფი ხე. ჯანსაღი ხეების ირგვლივ მოსპეთ სხვა გარეშე მცენარეულობა და აგრეთვე ყველა ყლორტები, რომლებიც პირდაპირ ფესვებიდან ამოდის ან ჭალის (თალის) ქვევით ტანზეა ამოსული; გამოჭერით ხმელი და ერთმანეთში გადახლართული ტოტები. ხის ღეროების ირგვლივ გადაბარეთ მიწა ერთი ბარის პირზე შეძოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე არა ნაკლებ 2 მეტრის.

ყველა ამ წინასწარ სამუშაოს შესრულების შემდეგ შეუდექით თუთის ხის გასხვლას, რაც უნდა დასრულდეს 2 წლის განმავლობაში.

პირველ წელს, იანვარ-თებერვალში უნდა გამოვჭრათ ყველა წვრილი 2—3 წლიანი ტოტები, მეორე წელს კი—იმავე ზამთრის თვეებში საჭიროა 72 სანტ-მდე დავამოკლოთ მთავარი ტოტებიც; ასეთი სიფრთხილე იმისთვის არის საჭირო, რომ ერთბაშათ ყველა ტოტების დამოკლება გამოიწვევს მცენარის დასუსტებას და შეიძლება გახმეს კიდეც. მესამე წლიდან კი ამგვარი გაახალგაზრდავებული თუთის ხეების გასხვლა ისევე უნდა, როგორც ახლათ გაშენებულისა.

ფოთლის კრეფა

1) ფოთოლი უნდა შეკრიბოთ მზის ამოსვლის, დილის ნამის შეშრობის შემდეგ და საღამოს—მზის ჩასვლის წინ;

2) დაუშვებელია ფოთლის მოკრეფა პაპაჭაქება—სიცხეში;

3) მოკრეფის, დროს ფოთოლი არ გასრისოთ ხელით ან სხვაფრივ;

4) წვიმიან დღეებში უნდა მოიჭრას მთელი ტოტები ფოთლებიანად და მშრალ შენობაში დააყუდოთ კედელზე გასაშრობათ;

5) დაკრეფილი ფოთოლი უნდა შეინახოთ გრილ და სუფთა შენობაში და რომ არ ჩახურდეს—იატაკზე თხლათ გაშალეთ.

ფოთლის მოკრეფა უნდა ხეზე ტოტების ხელუხლებლად ან დააჭრით ერთ-წლიან ტოტებს და შემდეგ გააცლით ფოთოლს; ეს წესი უფრო სახელდახელოა, მუშაობა უფრო ჩქარა მიდის, ტოტების ჩამოჭრის შემდეგ

ხეები დაათვალიერეთ და მოაშორეთ ყველა დარჩენილი წვრილი ტოტები, რომ ხელი არ შეუშალონ ახლათ ამოსულ ნორჩ ყლორტების ზრდას.

ჩვენი ქვეყნის ხელშემწყობ პირობებში ერთი თუთის ხე იძლევა დაახლოებით:

7	წლისა	32	კილო ფოთოლს
9	„	48	„ „
11	„	65	„ „
15	„	86	„ „

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებათ ყველა ნოკრეფილი ფოთოლი ერთხაირად არ ვარგა რადგანაც შიგ გამოერევა ცუდი ღირსების, დაზიანებული და ავადმყოფი—დაჟანგული ფოთლები ან მსხვილი ტოტ ბი და ნაყოფი; ყველა ეს უვარგისი ნაწილი უნდა მოაშოროთ ფოთოლს, განსაკუთრებით ნაყოფი, რომელიც ადვილათ იჟეჟება და მჟავდება.

აგრ. ნ. ნუცუბიძე.



ბაღის მარწყვის ნოყვანა

ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲮᲘᲚᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ

ბაღის მარწყვს და ხენდროს დღეს, დიდი ბაზარი გაუჩნდა: და კარგ შემოსავალს აძლევს მის მომყვანს. ჩვენმა სოფლის მეურნეებმა მეტი ყურადღება უნდა ათხოვოს მის მოყვანას, მით უმეტეს რომ მის მოყვანისათვის ხელსაყრელი პირობები ჩვენში მეტ ნაირად არის და ამ ადგილებში მემარწყვეობას ნამდვილი სარენტელო ხასიათი უნდა მიეცეს.

მემარწყვეობის განვითარებას ის გარემოებაც ხელს უწყობს, რომ ჩვენში საცივრების გაძარცვა მხილეობის რაიონებში და რკინისგზის ხაზის სხვადასხვა ადგილას ფეხს იკიდებს.

არც რკინის გზა სტოვებს უყურადღებოთ ადრე ულ ხილის გადატანის საკითხს, ის ყოველ წლივ უმატებს საცივარ-ვაგონების რიცხვს, რომელიც საშუალებას მისცემს მეურნეს თავის ადრეული ხილი არამცთუ მახლობელ, არამედ შორეულ ბაზარზედაც უვნებლად გადიტანოს და ხელსაყრელ ფასებში გაასაღოს.

ᲮᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თოვლით დაფარულ მსხვილ ნაყოფა ნარწყვის ბუჩქს დიდი ყინვების ატანა შეუძლია, ამიტომ მთა-გორიან და ცივ ადგილებში ხისი მოშენება ყოველთვის შეიძლება. არც ძლიერ ცხელი და არც ძლიერ ცივი ადგილები ამ მცენარისათვის არ ვარგა. ჩვენი მდინარეების ხეობები და შავი ზღვის სანაპირო ადგილები საუკეთესო პირობებია ბაღის მარწყვის კულტურისათვის. **ყველაზე გემრიელი და მსხვილი ნაყოფი თბილ, ზომიერ ჰავაში გამოდის.**

იმ ადგილებში, სადაც გაზაფხულის ყინვები იცის, იქ ნარწყვის ბუჩქი ხშელი ფოთლით ან გადამწვარ სასუქით უნდა გადიფაროს ექვს სანტიმეტრის სისქეზე. ზამთარში მარწყვს კარგად იცავს თოვლი. თოვლის დასაჩქარად ნარწყვის ახლოს უნდა ჩაურჭოთ წიწვიანი ხის ტოტები.

მარწყვის ზოგი ჯიში ადვილად იტანს დიდ სიცივესაც.

ხშირი წვიმები დაყვავილების დროს მარწყვს ძლიერ სწყინს. ნესტიან ადგილში ნაყოფი ცუდად იზრდება და ნაკლებ მოსავალს იძლევა.

ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ

მარწყვის კულტურისათვის ადგილის არჩევა ჰავაზე და ნიადაგზეა დამოკიდებული. ცხელ კუთხეში სამარწყვედ დაბალი და ტყიანი ადგილი სჯობია. მაგრამ ასეთი ადგილი



ბაღის მარწყვის ბუჩქი

ზედმეტად ნესტიანი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწრეტი არხები უნდა გაკეთდეს. თუ მარწყვის გაშენება ფიცხ ადგილში ფერდოზე გვიხდება, მაშინ ჩრდილოეთით მდებარე ფერდობი სჯობია, რადგან დამწიფება დიდხანს გრძელდება. მთა-გორიან მძიმე ნიადაგიან ადგილებში მაღლობ მზიან ადგილს ირჩევენ, სადაც ჰაერი ადვილად მოძრაობს: აქ ნაყოფი ადვილად და ადრე მწიფდება.

სადაც ჰავა ზომიერია, იქ სამარწყვედ დასავლეთ-სამხრეთ ფერდობს ამჯობინებენ; ასეთ ადგილებში ნაყოფი ადრე შემოდის და კარგადაც იფერება. ფიცხს და წყალ-ნაკლებ ადგილებში გაფხვიერებულ კვლებს თივა ან ფოთოლი უნდა დააყაროთ. ასეთ ადგილებში მარწყვისათვის ახლად გაშენებული ხეხილის ბაღი ძალიან კარგია. სამრეწველო მიზნით მარწყვის გაშენება ასეთ ადგილებში არ ვარგა. მარწყვის გაშენება ხელსაყრელი მაშინ არის, როცა ის მზიან ადგილშია გაშენებული და ნაყოფის ადრე დამწიფებას ყველა პირობები ხელს უწყობენ.

ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ

მარწყვი ყველა საბოსტნე ადგილას კარგად ხეირობს. ნიადაგი უნდა იყოს თანაბრად ნოტიო, არ უნდა იყოს ის არც ზედმეტად ნესტიანი და არც მშრალი, ასეთ ნიადაგს შეხვდებით წყლის პირა ველებზე. მარწყვს ღრმა, ფხვიერი, რბილი და ნოყიერი ნიადაგი უყვარს. მძიმე თიხნარი ნიადაგი ლამის და ნეშომპალის შეტანით უნდა გაუმჯობესდეს.

ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲝᲧᲘᲔᲠᲔᲑᲐ

სამარწყვე ადგილი რაც უნდა ნოყიერი იყოს, ის მაინც თხოულობს გაპატიებას. მოსავალი მთლად დამოკიდებულია ნიადაგის სინოყივრეზე.

როცა ადგილი ცივია, მის გასათბობად ხმარობენ ხეხილის ნეხვს. ქვიშნარ ნიადაგის გაპატიება კი უნდა საქონლის და ღორის შერეულ სასუქით. ახალი ნეხვით გაპატიება საძარწყვე ადგილისა შემოდგომითვე უნდა. გაზაფხულზე მხოლოდ გადამწვარი სასუქის ხარება შეიძლება. ერთ ჰექტარ მიწაზე 58 ათასი კილო (3600 ფუთი) საქონლის სასუქი სრულებით საკმარისია. პირველ შემოდგომაზე კვლები ხელმეორეთ უნდა გაახოყიეროთ გადამწვარ ნეხვით, ნეხვი უნდა გაიშალოს მარწყვის ძირებთან და არა ფოთლებზე, შემდეგ გაზაფხულზე შარებ (მწკრივებს) ბუა დაყრილი ნეხ-

ვი ფრთხილად უნდა ჩაითოხნოს, რომ მარწყვს ფესვები არ დაუზიანოთ, ასე მოიქცევით ყოველ შემოდგომა—გაზაფხულზე.

ნიადაგის გაპოხიერება შეიძლება აგრეთვე თხელი სასუქით. თხელ სასუქს ასხავენ ყოველ წელიწადს ორჯერ: თოვლის დადნობის შემდეგ და აყვავილებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ან ოკრეფის შემდეგ, მაგრამ თხელი სასუქის ხმარება ფრთხილად უნდა, რომ სარგებლობის ნაცვლად, ზიანი არ მიაყენოთ.

თხელი სასუქის დასხმა შეიძლება მხოლოდ მორწყვის ან კარგი წვიმის შემდეგ. **ცხელ და მზიან დღეში თხელი სასუქის დასხმა არასგზით არ შეიძლება.**

თხელი სასუქი მომზადებული სჯობია. აიღეთ კასრი, ჩაყარეთ შიგ საქონლის ახალი ნეხვი ნახევრამდე, დაასხით წყალი, მხოლოდ პირამდე ნუ გაავსებთ, რომ მორწყვის დროს არ დაიღვაროს. სითხე რამდენიმე დღის შემდეგ იწყებს დუღილს და გრძელდება ორ კვირას. სითხეს უნდა ურიოთ დღეში ერთხელ. ორი კვირის შემდეგ სითხე მზად არის სახმარებლად, ხმარების წინ თხელი სასუქი უნდა გახსნათ წყალში, ერთ ვედრო სასუქს უნდა დაასხათ ოთხი ვედრო წყალი. სითხე მცენარეს არ უნდა მოხვდეს. თხელი სასუქით მორწყვა უფრო დილა-საღამოს და ღრუბლიან დღეში სჯობია.

ერთ ოთხკუთხ საჟენისათვის 2—3 ვედრო თხელი სასუქი საკმარისია. ცხენის შარდისაგან გაკეთებული თხელი სასუქი უფრო ცხარია, ვიდრე რქოსან საქონლისა, ამიტომ ის უფრო ნაკლებ უნდა დაესხას; ლამიანი ადგილი მეტ სასუქს მოითხოვს, ვიდრე თიხნარიანი

როცა ლამიანი ადგილი გადამწვარ ნეხვით და შერეულ სასუქით არის გაწოყიერებული, მაშინ ასეთ ადგილში მარწყვი უნდა დაირგას გაზაფხულზე და არა ზაფხულის დამლევს. ამ შემთხვევაში მარწყვის ძირში უნდა დაყაროთ ბზე, გამხმარი ფოთოლი, ხის ნახერხი ან იმგვარი ნივთიერება, რომ ნიადაგი არ გამოშრეს.

თხელი სასუქით კი რწყავენ დაყვავილების შემდეგ და ნაყოფის დაკრეფის ბოლოს.

ნიადაგის დამუშავება

მარწყვის ფესვები ნაზი და წვრილია. ასეთი ფესვები მხოლოდ ფხვიერ ნიადაგში შეიძლება განვითარდეს. ამისათვის სამარწყვეში ნიადაგი ღრმად დამუშავებული უნდა იყოს, რადგან მარწყვი ერთ და იმავე ადგილას დიდხანს რჩება.

მაგარი თიხნარი ნიადაგი ორ ბარის პირზე (46 სანტიმეტრი) უნდა გადაბრუნდეს. რბილ და ფხვიერ ნიადაგს ასეთი ღრმა დამუშავება არ ესაჭიროება, ერთ ბარის პირზედაც (25 სანტიმეტრზე) საკმარისია.

ბარ და ნესტიან ადგილებში ნიადაგი ზერელეთ უნდა დამუშავდეს. სამარწყვე კვლები ასეთ ადგილებში მაღლად უნდა დაკეთდეს.

ფიცხ ადგილებში კვლების გაკეთება სრულებით არ სჭირია. თუ ნიადაგი ძლიერ მაგარი თიხნარია, დაბარვის დროს ნიადაგს ზევიდან უნდა დაყაროთ წყლის ლამი. ერთ ოთხკუთხ საჟენისათვის ერთი კუბიკური არშინი წყლის ლამი საკმარისია.

მარწყვის გამრავლებაზე შემდეგში მოვილაპარაკოთ. მებაღე **მ. ციგაძე**



ცხოველების ავადმყოფობა - აქტინომიკოზი

აქტინომიკოზით ავად ხდება ყველა შინაური და ზოგიერთი გარეული ცხოველიც: რქოსანი საქონელი, ცხენი, ღორი, ძაღლი, კატა, ცხვარი, თხა, ირემი, სპილო და აგრეთვე ადამიანი.

ამ ავადმყოფობას იწვევს მიკროსკოპიული სოკო, რომელიც მეცნიერებამ პირველად სამოციან წლებში აღმოაჩინეს.

აქტინომიკოზი უჩნდება ცხოველს ხმელი ქერის, პურის, შვრიის, ბალახის ფხისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი პირის ღრუში თუ სხვაგან




აქტინომიკოზით დაავადებული ადამიანი

ლორწოიან გარსს გაუკაწრავს ცხოველს და მათზე შემთხვევით მყოფი აქტინომიკოზის ჩანასახი ქსოვილში შედის.

ადამიანსაც ამავე მიზეზით უჩნდება ეს ავადმყოფობა, როდესაც იგი ხმელი თივის, ქერის, პურის, ბალახის და სხვა ასეთი მცენარეების ღეროებს კბილში იჩხიკინებს და სხვა.

აქტინომიკოზი უმეტესად დაბალ ჰაობიან, და ისეთ ადგილებს სჩვევია, რომლებსაც ხშირად მოვარდნილი წყალი ლეკავს. სიმშრალეში აქტინომიკოზის ჩანასახი თავის ძალას დიდხანს ინახავს. აქტინომიკოზი უფრო ხშირად რქოსან საქონელს უჩნდება და გლეხს დიდ ზარალს აყენებს.



აქტინომიკოზით დაავადებული საქონელი

დროს მიხედვით აქტინომიკოზი უფრო ზამთარში და გაზაფხულზე იცის, რადგან ამ დროს უფრო ხშირად გვიხდება საქონლის ხმელი საკვებით კვება. ზოგიერთ შემთხვევაში შესუნთქული ჰაერის (რომელსაც მასში აქტინომიკოზის სოკოს ჩანასახები უხვად არიან გაფანტული) და გარეთ კანზე გაკაწრულ ადგილების საშუალებითაც შეიძლება **ცხოველს თუ ადამიანს** ფილტვების და სხვა ორგანოების აქტინომიკოზი გაუჩნდეს.

აქტინომიკოზით დაავადება იწყება იმ დროიდან, როდესაც იმ ადგილზე, სადაც აქტინომიკოზის სოკოს ჩანასახი მოკალათდა (ტუჩები, კისერი, ყბა და სხვა), ამის შემდეგ მრგვალი და მაგარი, ტყის თხილის ოდენა, კვანძი იწყებს გაჩენას, მერმე ეს კვანძი რბილდება, მას ირგვლივ ქსოვილის გასქელება-გამკვრივება იწყება და ჩირქდება.

ასეთივე პროცესი (ავადმყოფობის მსვლელობა) ხდება მაშინაც, როდესაც აქტინომიკოზის ჩანასახი ენაზე, ფილტვებზე, ცურზე და სხვაგან ხვდე-

ბა. ამ ორგანოების (ნაწილების) აქტინომიკოზის დროს ცხოველს თუ ადამიანს საკვების და საჭილის მიღების, სულისმოთქმის და რძის დამუშავების უნარი ერთმეორე და თუ თავის დროზე ზომები არ მივიღეთ, კიდეთაც მოკვდება.


აქტინომიკოზის მიმდინარეობას ყოველთვის ქრონიკული (დახანებითი) სახიათი აქვს. მიუხედავათ ამისა, თუ თავის დროზე ვუწყალეთ, შესაძლებელია ამ ავადმყოფობისაგან გადარჩენა.

აქტინომიკოზის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება—სიხსივნის სავსებით ამოკრა და ამოხაჭრა ადგილის დაშანთვაა, ხოლო თუ სიმსივნე დაჩირქებულია—მისი გაკვეთა, ჩირქის გამოშვება, კარბოლის სიჭავით გამორეცხვა და იოდის წასმა, მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სიმსივნე ჯერ-ჯერობით ცოცხალია და მისი ამოკრა შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მხოლოდ იოდის შემხაპუნებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ამ შემხაპუნების გაკეთება მხოლოდ ექიმს შეუძლია.

აქტინომიკოზის თავიდან ასაცილებლად, იმ ადგილებში, სადაც მას ვხვდებით, არავითარ შემთხვევაში ხმელი საკვები: ქერი, ბზე და სხვა, დაუსველებელი არ უნდა მისცეთ საქონელს.

ამასთან ერთად უნდა ვეცადოთ საქონელი იმ მინდვრებში არ ვაძოვოთ, სადაც აქტონომიკოზია დაბუდებული.

საქონლის ექიმი ფარეიშვილი.



რა არის საჭირო საშეურნეო კოლექტივის დაარსებისათვის

სოფლის მეურნეობის განვითარება დღევანდელ პირობებში სულ ახალ საფუძველს მოითხოვს, რომლის თანახმად მისი მამოძრავებელი ძალები სულ სხვანაირად უნდა გადაჯგუფდეს.

მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ, სოფლის ცალკე სამეურნეო ერთეულები იმდენად დაქუცმაცდნენ და ქონებრივად იმდენად უძლური დარჩნენ, რომ მათ ძალა არ შესწევთ, ქალაქის მრეწველობის სწრაფ განვითარებას ფეხ-და-ფეხ მიჰყვნენ და მისი მოთხოვნილება სანედლეულობის მიწოდების მხრივ დააკმაყოფილონ.

ასეთივე უმწეო მდგომარეობა ნებას არ აძლევს სოფლის მეურნეს გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები ძეტი და უკეთესი ხარისხის ნაწარმოების მისაღებად.

ცხადია ერთად-ერთი გამოსავალი ამ გაჭირებულ მდგომარეობიდან არის ამ დაქსაქსულ წვრილ მეურნეთა შეკავშირება-შეჯგუფება ცალკე ლონიერ ერთეულში **სამიწად-მოქმედო კოლექტივების სახით.**

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები ჩვენში სულ ახალი ორგანიზაციაა; ჩვენ სოფლის მეურნეებს მათ დაარსებაში და განძტკიცებაში, შეიძლება

ითქვას, რომ გამოცდილება სულ არა აქვთ. ამიტომ ამ მხრივ მათთვის დიდი სიფრთხილე და დაფიქრებაა საჭირო.

კოლექტივი რომ ბოლომდე მტკიცე იყოს, ყველაზე უწინ წევრთა შერჩევაზე უნდა ვიზრუნოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. უამისოთ კოლექტივში საერთო მეურნეობა კარგად ვერ იწარმოებს.

კოლექტივის ყოველი წევრი გამსჭვალული უნდა იყოს ამხანაგური შრომის სურვილით. წინააღმდეგ შემთხვევაში წევრთა შორის ძუდამ უთანხმოება იქნება და ამის გამო მათი ცვალებადობაც ხშირი გახდება.

ეს მოვლენა აუცილებლივ გამოიწვევს წევრებში შრომის ხალისის შენელებას, რასაც მოჰყვება კოლექტივის რყევა: მუშაობის ხალისი და სიყვარული იკლებს, ამხანაგური კავშირი წევრთა შორის შესუსტდება, შრომის ნაყოფი შემცირდება, კოლექტივი გახდება საზარალო, უკეთეს შემთხვევაში—არც მომგებიახი, საერთოდ მისი მეურნეობა დაეცემა და ბოლოს სამუდამოდ დაიშლება.

ასეთი მოვლენა მთელი კოლექტივისტურ მოძრაობისათვის მავნებელი შეიქნება, რადგან ერთი კოლექტივის დაშლა რამდენიმე ახალ კოლექტივის დაარსების ხელის შემშლელ მიზეზად გახდება.

იმ შემთხვევაში კი თუ კოლექტივის დამაარსებელნი თავდაპირველადვე ფრთხილად იქნებიან და კოლექტივში წევრებს დიდის გარჩევით შეიყვანენ, იმაში ასეთ საღ საძირკველზე აშენებული კოლექტივი საღი ორგანიზაცია იქნება და წესიერ განვითარების გზას დაადგება.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ კოლექტივის წევრებს ერთნაირი შრომის უნარის მქონე იყვნენ. კოლექტივის შედგენლებიც სწორედ ამ საზომით უნდა ხელმძღვანელობდენ წევრების შერჩევის დროს. ისეთ კოლექტივში, სადაც წევრები ამ საზომით იქნებიან თავმოყრილი, ცხადია, შრომა თანაბარი და შეთანხმებული იქნება.

ყველა წევრი თანასწორად გულმხურვალედ მოჰკიდებს ხელს საქმეს და გულგრილობას საქმისადმი და სიცუდლუტეს ადგილი არ ექნება.

ასეთი შემადგენლობის კოლექტივი ბუნებრივად უგეჯმოდ ვერც იმუშავებს, საწარმოო-საორგანიზაციო და სამეურნეო-ფინანსიური გეგმა მას აუცილებლივ ექნება.

უნდა გვახსოვდეს, რომ საღ კოლექტივში ყველა წევრი ძმობრეა, რომ კოლექტივის მთელი წარმოება ხდებოდეს გეგმით. ეს არის მეორე დედა-ბოძი, რომელზედაც კოლექტივი უნდა ემყარებოდეს.

უამისოთ ნურც ერთი კოლექტივი ნუ იფიქრებს, რომ მისი არსებობა ხანგრძლივი იქნება.

აგრ. ეპ. გოგოლაძე.



ᲙᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ნ წ ავე ის სნ ულე ნი

მიწის მუშა მთელი თავისი სიცოცხლე ჰხნავს, სთესავს, ფარცხავს, თოხნის, იკის, სიმინდს არჩევს, ცეხვავს, პურსა ლეწავს და სხვ.

რა მიზანი აქვს ასეთს გაჟუდმებულ მუშაობას?

სარჩოს მოყვანა.

ქვეყანა ჭამისათვის იკლავს თავსო, იცის თქმა ძიწის მუშამ.

და მართლაც ერთი დღის შიმშილი მეგვაგუხებს ხოლმე.

რას აკეთებს სასმელ-საჭმელი ჩვენს სხეულში!

მიწის მუშამ კარგად იცის, რომ მშიერი საქონელი დიდ ტვირთს ვერ ზიდავს, ძალა არა აქვს.

ასე არის ადამიანიც. მშიერი ის სუსტია, უჯახო და იმის შრომას ბარაქა აღარა აქვს.

აქედან ცხადია შეძლეგი: **სასმელ-საჭმელი ჩვენ გვაძლევს სამუშაო ძალას.**

ჩვენი სხეულის ყოველი ასო მუშაობს. ფილტვებს, ღვიძლს, თირკმელებს, გულს და სხვ. საძუშაო ძალას საზრდო აძლევს. რამოდენიმე კვირის განმავლობაში რომ სრულებით არ მივიღოთ სასმელ-საჭმელი, გული სისუსტისაგან გაჩერდება და მოვკვდებით.

ბავშვი რომ იბადება, რამოდენიმე გირვანქას იწონის. რომ გაიზრდება, რაოდენიმე ფუთია. საიდან შეიმატა ამდენი?

სასმელ-საჭმლიდან; სასმელ-საჭმელში არის ის ძასალა, საიდანაც შენდება ჩვენი სხეულის ყოველი ნაწილი. ჩვენი სხეულის სითბო ერთგვარ დონეზედ არის—ოცდაჩვიდმეტ გრადუსზედ. ჩვენი სითბო რომ ოცდათორმეტზე ჩამოვიდეს, ე. ი. ხუთი გრადუსი რომ მოგვაკლდეს, დიდხანს ვერ ვიცოცხლებთ.

მიცვალებული რამოდენიმე საათის განმავლობაში სრულებით ცივდება. აქედან აშკარაა, სითბოს ჩვენ შეუჩერებლად ვკარგავთ, მაგრამ ჩვენი სითბო არ კლებულობს, სულ ერთ დონეზეა.

აქედან ცხადია შემდეგი: სითბოს თუ შეუჩერებლად ვკარგავთ, ამავე დროს შეუჩერებლად ვიძენთ კიდეც.

საიდან მოგვდის ეს სითბო?

მიღებული სასმელ-საჭმელიდან. საზრდო ხელნელა იწვის ჩვენს სხეულში და აჩენს მუდმივად სითბოს, რაც ასე საჭირო არის ჩვენი აგებულებისათვის.

ჩვენს სხეულში მზადდება სხვადასხვა მეტად საჭირო სითხე: ნერწყვი, კუჭის წვენი, ნაწლავების წვენი, ნაღველი, კუჭქვეშა ჯირკვალის წვენი, თესლი.

საიდან ამზადებენ ყოველივე ამას ჩვენი ასოები?

ძიღებულ საზრდოდან.

აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმელს.

მუშა კაცს რომ ყოველდღე სასმელ-საჭმელის ძებნა დასჭირდეს, ცხოვრება აუტანელი იქნება.

მიწის მუშა ზაფხულსა და შემოდგომაზე მოიმარაგებს საზრდოს და ზამთრისა და გაზაფხულისათვის უზრუნველყოფილია.

აქიტომ საჭირო არის ბეღელი, სასიმინდე.

ჩვენს სხეულსაც სჭირდება ერთგვარი ბეღელი საჭმელის მომარაგებისათვის.

ასეთ ბეღელს წარმოადგენს ჩვენი კუჭი, რომელშიაც გროვდება სასმელ-

საჭმელი, დაჰყოფს აქ რამოდენიმე საათს, გაითქვიფება ფაფასავით და შემდეგ გავა ნაწლავებში.

თქვენ იქნება გგონიათ, რომ სასმელ-საჭმელის უმთავრესი გადამუშავება კუჭში სწარმოებს?

სრულებითაც არა, კუჭმა ისე უნდა გარდაჭქნას საზრდო, რომ ნაწლავებს მისი მონელება არ გაუჭირდეს.

ამიტომ ყოველგვარი საზრდო კუჭში გადაიქცევა ერთგვარ ფაფად, რომლის მთავარი გადახარშვა ნაწლავებში იწყება. ადამიანის ნაწლავები ნაკეცებად ალაგია მუცლის ღრუში.

რატომ არიან დაკეცილი და არა გაშლილი?

სიგრძის გულისათვის. კუჭიდან გასული ფაფა მისრიალებს ნაწლავებში და ნაწლავები რომ ოკლე იყვნენ, მაშინ ეს ფაფა მალე გამოვა გარედ და უსარგებლოდ დაიკარგება ბევრი საჭირო ძასალა.

რადგანაც ნაწლავები ნაკეცების წყალობით გრძელია, ფაფა დიდხანს უნდება მათ გაელას და ნაწლავები ამ ხნის განმავლობაში გამოსწუწნიან, რაც კი რამ შიგ საჭირო და სასარგებლოა.

ადამიანის ნაწლავები რამდენიმე ნაწილად განიყოფება სისხოსი და მოყვანილობის მიხედვით.

კუჭიდან იწყება ნალივით მოხრილი თორმეტ გოჯა ნაწლავი, რომლის გაგრძელებაც არის წვრილი ნაწლავი-მილაკი: წვრილი ნაწლავი უერთდება ბრმა ნაწლავს, რომელსაც კუდივით გაჰკბმული აქვს დანამატი. ბრმა ნაწლავის გაგრძელება არის სხვილი ნაწლავი—კოლიხჯი, რომელიც თავდება სწორი ნაწლავით.

ნაღველის პარკიდან გამოდის ნაღველის სადინარი მილი; კუჭქვეშა ჯირკვალიდან—მისი წვენის სადინარი მილი. ორივე ეს მილი უერთდება თორმეტგოჯა ნაწლავს და, როგორც კი კუჭიდან საზრდო ფაფა თორმეტგოჯა ნაწლავში ჩაიღვრება, ამ ნაწლავში იწყებს დენას ერთის მხრით ნაღველი, მეორეს მხრით კუჭქვეშა ჯირკვლის წვენი.

ამ წვენსა და **ნაღველს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საჭმელის მონელებისათვის.**

საკმარისი ხომ არ არის, რომ საზრდო ფაფად გადაიქცეა; საჭირო არის, რომ ამ ფაფის ვარგისი ნაწილი სისხლში გადავიდეს ნაწლავებიდან და დაურიგდ ს ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს. აი ეს გადასვლა შეუძლებელია, თუ ნაწლავებში საზრდო ფაფას არ შეერია ნაღველი და კუჭქვემა ჯირკვალის წვენი.

ნაღველს აღზადებს ღვიძლი. ღვიძლის დასნეულება ხშირად იწვევს წყალმანკსა და სიკვდილს.

კუჭქვეშა ჯირკვალის დასნეულება იწვევს შაქრის ავადმყოფობას, რომელიც მოურჩენელი სენია.

რატომ ეძახიან ამ ავადმყოფობას შაქრისას? იკითხავთ თქვენ.

იმიტომ რომ ავადმყოფის შარდში შაქარი ჩნდება.

ნაწლავები შეუჩერებლად მოძრაობენ.

რა ამოძრავებს მათ?

კუნთები, ისე როგორც ხელს, ფეხს და სხვ.

ნაწლავების კედლებში დატანებულია კუნთები, რასაც თქვენ ხორცს ეძახით.

ნაწლავების კუნთები რაღას მოჰყავს მოძრაობაში?

ნერვებს, რომლებიც გამოდიან თავის ტვინიდან.

ნაწლავების მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭმელის მონელებისათვის. ამ მოძრაობის მეოხებით საზრდო ფაფა მისრიალებს ნაწლავებში ნელანელა, სასარგებლო ნაწილი გადადის სისხლში, უვარგისი კი გარეთ გამოდის.

თუ ნაწლავები მოდუნდენ და მობოშდენ, ადამიანს აწუხებს მუცლის

სპაგრე, კუჭის სიმძიმე, თავბრუ, ბოლოს ბუასილი და სხვ.

ნაწლავების ავადმყოფობა ბევრნაირია. ზოგჯერ მთელი ნაწლავებია დაზიანებული, ზოგჯერ მარტო წვრილი ნაწლავები, ზოგჯერ—მსხვილი, ან მისი რომელიმე ნაწილი; ხანდახან მხოლოდ სწორი ნაწლავი.

ნაწლავების მწვავე კატარი.

მიწის მუშებში ხშირია ნაწლავების მწვავე კატარი.

ეს ავადმყოფობა იწყება, ერთბაშად და უჩუტეს შემთხვევაში უსიცხოდ; ზოგჯერ კი ავადმყოფს შეაციებს და ძმედეგ სიცხეს მისცემს; მუცელი ასტკივა, ზოგჯერ გულიც აერევა და აუვარდება ფაღარათი; პირველად განავალი სქელია, შემდეგ და შემდეგ წყალივით თხელი. ავადმყოფს მუცელი უყვირის, უგრიალებს, ებერება, ცუდი პირი აქვს, თავი ოდნავ სტკივა და საერთოდ დიდ სისუსტეს გრძნობს; ზოგჯერ ჭინთვა ა ვს; განავალში ლორწო ბლომად ურევია.

თუ ავადმყოფმა თავს მოუარა, ყველა ეს მოვლენა რამოდენიმე დღეში ცხრება და სხეულება ჰკრება.

რა იწვევს ნაწლავების მწვავე კატარს?

წამხდარი უვარგისი საჭმელი, წამხდარი ხორცი ან თევზი, დამპალი ხილი, ზოგიერთი სოკო, ფეხების ან მუცლის გაცივება და სხვ.

როგორი წაღლობა არის საჭირო?

ავადმყოფმა უნდა გაიწმინდოს კუჭი საფაღარათო ზეთით. ვისაც ზეთის მილება არ შეუძლია, მან უნდა აიღოს ერთი სუფრის კოვზი ინგლისური მარილი, გახსნას ნახევარ ჩაის ჭიქა ცხელ წყალში, გააცივოს და ერთბაშად დალიოს. ერთი დღე და ღამე უნდა იყოს სრულიად მშიერი, შეუძლია მიიღოს მხოლოდ წყალი, ისიც ბევრი არა. შემდეგ კარგია ჩაი, ბრინჯის წვენი, ქათქის შარვა, ხმელი ლავაში.

როდესაც ფაღარათობა ტკივილები შეწყდება, ნელა-ნელა და თანდათანობით უნდა გადახვიდეთ ჩვეულებრივ საჭმელზე.

ნაწლავების დახანებული კატარი

თუ ნაწლავების მწვავე კატარი დროზედ არ მოირჩინეთ, ან სრულებით არ მიაქციეთ ყურადღება: თავისით გაივლისო, მწვავე კატარი გადაიქცევა დახანებულ კატარათ, რომელიც ზოგჯერ მთელი წლობით ამწარებს ავადმყოფს.

რაც უფრო დახანებულია ნაწლავების სნეულება, მით უფრო ძნელი მოსარჩენია.

შესაძლებელია, სნეულება მთელ ნაწლავებს კი არ მოედოს, არამედ მარტო რომელიმე ნაწილს.

თუ ავადმყოფობა მართო თორმეტ—გოჯა ნაწლავშია, ავადმყოფს სიყვითლე ემართება, სხვა არაფერი აწუხებს. თუ სნეულება მხოლოდ წვრილ ნაწლავებშია, ავადმყოფი ბევრჯერ მოუნელებელზე გადის, ფაღარათობა კი იშვიათად აქვს. თუ ავადმყოფობა მსხვილ ნაწლავებშია, მაშინ ავადმყოფი ხოგჯერ შეკრულია მუცელში, ზოგჯერ გახსნილი და განავალში მუდამ ურევია წელების ნაფხეკი ანუ ლორწო.

წამლობის დროს უპირველესად უმთავრესი მნიშვნელობა აქვს თავის მოვლას. თუ ავადმყოფი განურჩევლად ყველაფერს სჭამს, მორჩენა შეუძლებელია. **რძის ქაში, ბრინჯის ნახარში. ვარიის შარვა, გამხმარი ლავაში, ალუბლის, მოცვის ან მსხალის თათარა კართოფილის ფქვილით გაკეთებული, გადადუღებული წითელი ღვინო და წყაროს წყალი,** —აი, ერთად ერთი სასმელი და საჭმელი მორჩენამდე.

ბევრჯერ ფაღარათობა არ არის შედეგი ნაწლავების ავადმყოფობისა: გულის გაგანიერებას, თირკმელების დახანებულ ანთებას, ღვიძლის დასი-

ებას ხანდახან შედეგად მოსდევს ფაღარათობა. ყველა ასეთ შემთხვევაში საჭირო არის მთავარი სნეულების წამლობა.

მუცელა

ნაწლავების ავადმყოფობას ეკუთვნის მუცელა, რომელიც ჩვენს სოფლებში განსაკუთრებით ვრცელდება ზაფხულში და ბავშებს მუსრს ავლებს.

მუცელა ორგვარია: სიცხიანი და უსიცხო.

სრულებით საღ ადამიანს ერთბაშად წამოსტკივა მუცელი და უტყდება ფაღარათი; განავალს გამოჰყვება სისხლი და ლორწო; ერთიც და მეორეც თანდათან მატულობს და შემდეგ და შემდეგ განავალი ცარიელი სისხლი და ლორწოა ერთძანგში არეული. ავადმყოფს წამდა უწუმ ანდომებს გარეთ გასვლას და ამავე დროს საშინელი ჭინთვა აქვს. ბავშვი ხშირად განავალს ვეღარ იკავებს და ნამეტანი ჭინთვისაგან უკანა ტანი უბარუნდება. ხანდახან ავადმყოფობა გაივლის, მაგრამ უკანა ტანის გამოვარდნა დასჩემდება ბავშს დიდხანს, ამას სოფელში სამხედროს ეძახიან.

ავადმყოფობა ჩნდება მსხვილ ნაწლავებში განსაკუთრებით მარცხენა მხარეზე. ნაწლავი სივდება, თუ სნეულება გაძნელდა, წყლულდება. ნაწლავის დაწყლულება იწვევს საშინელ სისუსტეს, მუცლის აპკის ანთებას და სიკვდილს.

თუ ვისმე მუცელა გამოაჩნდა, უნდა დააწვინოთ სუფთად, აძლიოთ მსუბუქი საჭმელი და დროზედ მიმართოთ ექიმს.

ნაწლავების ჭლექი

ნაწლავებში ჭლექი უჩნდება უმრესად ისეთ ადამიანს, რომელიც ფილტვების ჭლექით არის დასნეულებული. ასეთი ავადმყოფი ხშირად ჰყლაპავს ნახველს დაუდევრობის ან შეუგნებლობის გამო, ანდა უცაბედათ. ნახველში ბლომად არის ჭლექის ბაცილები. საღი კუჭი თავისი წვენით ჰხოცავს ამ ბაცილებს, მაგრამ თუ ავადმყოფს კუჭიც არ უვარგა, ბაცილები გაძვრებიან ნაწლავებში, დაიწყებენ შიგ მოშენებას და ნაწლავების ლორწოვანი გარსი დაიფარება პატარ-პატარა წყლულებით.

ზოგჯერ ძროხა არის ჭლექიანი, ასეთი ძროხის რძეში ჭლექის ბაცილებია ხშირად. თუ ამგვარი რძე დაალევინეთ, ბაცილები გაძვრებიან ნაწლავებში და გააჩენენ ნაწლავების ჭლექს.

ავადმყოფს სიცხეს აძლევს, მუცელი სტკივა, უგრიალებს, აფაღარათებს, გული ერევა, მადა ეკარგება, სუსტდება, ბოლოს ფეხები უსივდება თეთრად და კვდება,—მორჩენა შეუძლებელია.

ბუასილი

ბუასილიც ნაწლავების სნეულებაა და ჩნდება გამოსავალ ნაწლავში. უკანა ტანს გარშემო შემოვლებული აქვს სისხლის მილები. სხვადასხვა ძიზგზის გამო ეს მილები ნელა ნელა განიერდებიან ალაგ ალაგ. გაგანიერებულ ადგილებში სისხლი ჩერდება და ამრიგად ჩნდებიან პაწაწკინტელა ჯიბეები. ჯიბეები თანდათან განიერდებიან, იკეთებენ გარშემო სქელ კანს და ამ რიგად ჩნდებიან ღეჯეჯები ანუ სოკოები. სოკოები დრო და დრო სივდებიან, გაიტენებიან სისხლით, დასკდებიან და იწყებს იქიდან სისხლის დენას, ზოგჯერ სისხლი ცოტა მოდის, ზოგჯერ კი იმდენი, რომ ავადმყოფი მთლად დაიცლება სისხლიდან და ქარვასავით გაყვითლდება. სოფელში იციან: ბუასილი ორნაირია, ნედლი და ხმელიო. ეს არ არის მართალი; **ბუასილი ერთია,** მხოლოდ სხვადასხვა ავადმყოფში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს;

ზოგს სისხლის დენა მოძალებული აქვს, ზოგს კი სრულებით არ აწუხებს, მხოლოდ სოკოები სტკივა დროდადრო და დრო, უკანა ტახი ეჭავება, მუცლის სიმაგრე აქვს და სხვ.

რა იწვევს ბუასილს?

ხშირი მუცლის სიმაგრე, მძიმე მუშაობა, ნამეტანი ჭამა, მლაშე, ცხარე და პილპილიანი საჭმელი, ლოთობა და მემკვიდრეობა. ორსულობის დროს ქალს ხშირად უჩნდება ბუასილი.

ბუასილიანი უნდა ერიდოს ლოთობას, პილპილს, მლაშე და ცხარე საჭმელს, მძიმე ტვირთის ზიდვას, მსუქანსა და ქონიან საჭმელს. **საუკეთესო სამარხო საჭმელი:** ლობიო, მხალი, კომბოსტო, ბოლოკი, ხილი, კართოფილი, თეთრი ღვინო.

ბუასილიანმა უსათუოდ უნდა მოიბანოს დილა-საღამოს საკმაო ცივი წყალით. დაავადებულ სოკოებზე უნდა წაისვას უთარილო ქონი ან ვაზელინი (აფთიაქში იშოვება). თუ სოკოები დიდია ან ავადმყოფს სისხლის დენა აქვს, აუცილებელია ოპერაცია.

ᲙᲘᲑᲝ

კიბო შესაძლებელია გაჩნდეს ნაწლავების ყოველ ნაწილში, მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარს გამოსავალი ნაწლავი. კიბო უჩნდება ხაწლავებში უფრო ხანში შესულებს. ჯერ გაჩნდება ნაწლავის კედელში პატარა, მაგარი მეტხორცით. კორძი თანდათან იზრდება, წყლულდება, ლპება; გადადის ახლო მდებარე ჯირკვლებზე, დაიფანტება შიგნეულობაში და ავადმყოფს მალე უსპობს სიცოცხლეს.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ავადმყოფის გადარჩენა ოპერაციით.

ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲐ

ზოგიერთ ავადმყოფს მთელი შიგნეულობა—კუჭი, თირკმლები, ღვიძლი, ნაწლავები ძირსა აქვს ჩამოშვებული. ეს ავადმყოფობა ემართება უფრო ხშირად ქალებს ხშირი შვილოსნობის შემდეგ. ქალი სუსტია, გამხდარი, მუცლის კედელი ძეტად დაძაბარი აქვს, მოშვებული და ის ველარ ჩერებს შიგნეულობას. ამგვარი დაშვება ხაწლავებისა იწვევს გამოურკვეველ ტკივილებს მუცელში, გვერდებში, ზურგში, ნერვების დასუსტებას.

ავადმყოფ ა სრულებით უნდა დაანებოს თავი შრომას, მოსვენებული იყოს შვიდი-რვა თვე და დღეში ხუთჯერ იაინც სჭამოს ნოყიერი საჭმელი—უმთავრესად კვერცხი, რძე, მაწონი, ქაში, კარაქი, ქათამი.

ასეთი თავის მოვლა უმეტეს შემთხვევაში იძლევა კარგ შედეგს. წამლის სმა კი უქმი ხარჯია.

ᲑᲠᲛᲐ ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲐ

წვრილი ნაწლავი უერთდება ასხვილს მუცლის ღრუს ძარჯვენა მხარეზე საზარდულს ცოტა ზევით. მსხვილი ნაწლავის აძ ნაწილს ეწოდება ბრმა ნაწლავი. მას გაბმული აქვს კუდივით პატარა ნეკის სისხო დანამატი, რომელშიაც ბევრჯერ თავს იჩენს ანთება. ავადმყოფს სიცხეს აძლევს, მუცელი სტკივა უფრო მარჯვენა ხარეზე, მუცელი უმაგრდება. ხანდახან დასიებული ნაწლავი ჩირქდება, სკდება, ჩირქი მუცელში ჩაიღვრება და ავადმყოფი კვდება.

ავადმყოფი უხდა იწვეს და ძიძილოს მხოლოდ რძე, წყალი და მაწონი, სანამ კარგად არ გახდება.

არამც და არამც არ დაალევიოთ საფალარათო, რადგანაც ეს გამოიწვევს დახიებული ნაწლავის გახეთქას, თუ კი ის დაჩირქებულია.

თუ ავადმყოფი მუცელში მაგრად არის, გაუკეთეთ ხოლმე ოყნა. დასიებულ ადგილზე ადეეით თოვლი, ყინული. თუ ცივი ავადმყოფს შვებას არ აძლევს და ტკივილებს არ უყუჩებს, მაშინ აფინეთ ცხელ წყალში დასველებული და გაწურული ტილო ან მოშუშული ქატო.


ალ. გომართელი.

მეცნიერება და ტექნიკა

მცენარის გადასარგავი მანქანა

სამკელ, სალეწ, სათეს და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანის გამოგონებამ დიდად წინ წასწია სოფლის მეურნეობა. ამ მანქანების ხმარებამ მკის, ლეწვის და თესვის საქმე მეტად გაადვილა და გააიაფა.

მაშინ, როდესაც ჰექტარი პურის ხელით მომკას და გალეწვას გლეხი ბევრ მუშა-ხელს და ბევრ დროს ანდომებს, სამკელი მანქანა ერთ დღეს ორიოდე ცხენით ან ტრაქტორით და ორიოდე მუშა-ხელის შემწეობით რამდენიმე ჰექტარს ყანას მკის.



მცენარის გადასარგავი მანქანა

ესევე ითქმის სალეწ და სხვა მანქანების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების განვითარება, რასაკვირველია, არ შეჩერებულა, ეხლაც იგონებენ და აუმჯობესებენ.

ამ ჟამად დიდ ყურადღებას იპყრობს მცენარის გადამრგავი ახლად გამოგონილი იარაღი.

ეს ახალი მანქანა ერთმა ახალგაზრდა გერმანელმა ინჟენერმა გამოიგონა და დიდ იმედებსაც ამყარებენ ამ მანქანაზე.

საქმე შემდეგშია: დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩინეთში პური გადარგვით მოჰყავთ, ისე, როგორც ჩვენში ზოგიერთი ბოსტნეული და მცირე ადგილიდან დიდ ოსავალს იღებენ.

ასეთი წესით პურის მოყვანა, რასაკვირველია, მხოლოდ ჩინეთში შეიძლებოდა, სადაც სახნავ სათესი მიწა მცირეა და მუშა-ხელი კი ძრავალი და იაფი. თუ სხვა ქვეყნებში პურის ამ წესით მოყვანის შემოღებას ერიდებოდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სახნავ-სათესი ადგილი დიდი ჰქონდათ, მუშა-ხელი კი მეტად ძვირი.

პურის გადარგვით მოყვანა ბევრ მუშა-ხელს მოითხოვს და მხვნელ-მთესველს ზარალის მეტს არაფერს მისცემდა.

მაშასადამე საჭირო იყო ისეთი საშუალების გამოგონება, რომელიც ამ შემთხვევაში მუშა-ხელის ხარჯს ან სრულებით თავიდან აიცილებდა ან იქნობამდე შეამცირებდა, რომ გადარგვით პურის მოყვანა რაც შეიძლება იაფი დამჯდარიყო.

ახლად გამოგონილი გადამრგველი მანქანა სწორედ ამ მიზანს აღწევს.

პური ჯერ ცალკე სანერგეში ითესება და მერე ამ მანქანის შემწეობით მუდმივ ადგილზე ირგვება.

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გადარგვა ამ მანქანით ხდება სწრაფად, საჭირდება ორიოდე მუშა-ხელი და ასე გადარგული პური დიდ მო-

საკალს და უმაღლეს ხარისხის ხორბალს იძლევა. მარცვალი გამოდის მძიმე, ჩალა (ნამჯა) იმდენად მაგარია, რომ იმედი აქვთ ის ახალი რაიმე წარმოებისათვის გამოიყენონ.

გარდა ამისა, ასეთი წესით მეტად მცირე სათესლე მასალა მიდის: ერთ ჰექტარ მიწას 4—5 კილო (10—13 გირვანქა) თესლი ჰყოფნის 150—250 კილოს (8—12 ფუთის) მაგივრად.

გერმანელებს იმედი აქვთ, რომ ამ ახალი მანქანის მეოხებით გერმანეთი თვითონ მოახერხებს თავის თავის გამოკვებას და გარედან პურის შემოტანა აღარ დასჭირდება.

ნ. თხინვალელი.

გამოსადეგი ცოდნა

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲒᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲥᲐᲗᲐᲛᲡ.

ჩვენში ძლიერ იშვიათია, რომ მექათმეობას საგანგებოთ მისდევდნენ. უმრავლესობას სხვათა შორის ჰყავს ქათამი. არ ცდილობენ არც მისი ჯიშის გაუჯობესებას, რომ ან მეტი კვერცხი ან უკეთესი ხორცი მიიღონ. მაგალითად, ჩვენებური უბრალო ქათამი წელიწადში დაახლოებით 60—70 ცალ კვერცხს სდებს. მაგრამ კარგი ჯიშიანი ქათმები ორჯერ და სამჯერ მეტს სდებენ.

დაწინაურებულ და ანგარიშიან მეურნეობაში ყოველთვის ცდილობენ ქათმების შერჩევით და უკეთესად შენახვა-მოვლით ქათმის კვერცხის მდებლობა ასწიონ. მაგალითად, იყო ამერიკაში ერთი მეურნე, რომელმაც მხოლოდ მექათმეობას მოჰკიდა ხელი. იყიდა 300 ქათამი, ყველა ლეგორნის ჯიშისა (ეს ჯიში ცნობილია როგორც კარგი კვერცხის მდებელი. აქა-იქ ჩვენშიაც მოიპოება ეს ჯიში). სამასიდან მან გადაარჩია მხოლოდ 30 ქათამი და ცალკე შეინახა შერჩევის მოსახდენად, 1913 წელს.


ამ შერჩევის მეოხებით დღეს საქმე იქნობამდე მიიყვანა, რომ მისი თითო საუკეთესო ქათამი 310—320 კვერცხს სდებს წელიწადში.

კარგი კვერცხის მდებელი ქათმის მისაღებად სანაშენოდ სტოვებდა არა მარტო კარგ კვერცხის მდებელ ქათამს, არამედ იმ მამალსაც, რომელიც გამორჩეკილი იყო კარგ კვერცხის მდებელ ქათმის კვერცხიდან.

დაწინაურებულ მეურნეობის ქვეყნებში კარგ კვერცხის მდებელ ქათმების შეჯიბრსაც მართავენ. ერთ ამ შეჯიბრზე, საუკეთესო კვერცხის მდებელ ქათამად ცნობილ იქნა **შავი ორპინგტონი**, რომელმაც დასდო 342 კვერცხი წელიწადში.

ასეთი შედეგის მიღება ჩვენშიაც შეიძლება, მხოლოდ აძისათვის საჭიროა ცოტა გარჯა და დაკვირვებით მუშაობა.

ბ. ნ.



ა 984 ს
1928

კითხვა-პასუხი

აგრონომიული დარიგება

კითხვა. შეიძლები თუ არა ზამთარში მანდარინის მყნობა ოთახში, თუ შეიძლება, რამდენ წლიან საძირეზე ან რა წესით და თუ არ შეიძლება, რატომ.

კოკი გვაჭაია.

პასუხი. მანდარინის მყნობა უფრო მიღებულია ზაფხულში კვირტით. ეს წესი სხვაზე უტრო საადვილოა, საძირე არ ფუჭდება; თუ ნაყენმა არ იხარა, იმავე წელს ორი კვირის შემდეგ შეიძლება კიდევ ამყნოთ. მანდარინის მყნობა სხვა წესითაც შეიძლება: კალმით, ადრე გაზაფხულზე, სანერგეში. საძირე თუ ბატის კალმის ოდენაა (1—2 წლის ნერგი), მაშინ საძირე და კალამი ერთი სიმსხოსი უნდა აირჩეს და ემყნას ინგლისური წესით-ალმაცერად წათლით, ისე როგორც ვაზს ამყნობენ. თუ საძირე კალამზე უფრო მსხვილია, მაშინ ამყნობენ გაჩეხით, ან ტოტში ჩასმით. მანდარინის მყნობა ზამთარშიც შეიძლება, თუ საძირე თავისი მიწით არის შენახული და ფესვები არ უჩანს; თუ საძირე უმიწოთ არის, მაშინ მისი გახარება დიდათ საეჭვოა, რადგან ახლად დარგულ ნერგს უხდება ორი საქმის შესრულება: ძირ-ფესვების გადგმა და ნამყენის შეხორცება და ვერ შესძლებს. კალმით ნამყენს შეხვევის შემდეგ უსათუოთ მალამო უნდა წაესოს. დაწვრილებით ცნობებს მანდარინაზე მიიღებთ ანტონ თუალჩრელიძის წიგნიდან „ციტრუსოვანთა კულტურა", რომელსაც გირჩევთ შეიძინოთ. წიგნი ღირს ორი შაური. მოიკითხეთ ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში. თუ არ აქვთ, შეგიძლიათ დაუკვეთოთ და ის გამოგიწერთ.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

კითხვა. მაქვს რვა წლის ვაშლის ბაღი. ხეხილი რაც გაიზარდა, ის არის, აღარ მატულობს და არც ისხამს და თუ მოისხა, ნაყოფი დამწიფებამდე სცვივა. ხე რომ ამოვიღოთ, ფესვები მომპალი აქვს.

გლეხი ანდრო ხარატაშვილი.

პასუხი უნდა ვიფიქროთ, რომ ხეხილი იმთავითვე ღრმად დაგირგავთ და შეხუთულა. ხეხილი გადარგვისას იმ სიღრმეზე უნდა ჩაირგას მიწაში, რა სიღრმეზედაც იყო სანერგეში, ესე იგი, მიწის პირი იქ უნდა თავდებოდეს, სადაც ფესვი და ღერო ურთდებიან ერთმანეთს. თუ ღრმად დარგულია, გადუშალეთ ღეროს გარშემო მიწა და მოაყარეთ ცოტა სასუქი. შეიძლება ორმოებიც საკმაო სირღმის და საჭირო სიგანისა არ გქონდათ გაკეთებული. ორმო უნდა იყოს უკანასკნელი არშინნახევარის სიგანის და ერთი არშინის სირღმის. შეიძლება კიდევ ნიადაგი თხელია და ხყალი ახლოს არის. შეიძლება სხვა მიზეზიც იყოს. ყოველ შემთხვევაში მიიწვიეთ რაიონის აგრონომი, რომელიც გაიცნობა ადგილობრივ პირობებს და ნამდვილ დარიგებასაც მოგცემთ.

მებაღე ნ. წიკლაური.

რედაქტორი-აგრონომი ნ. ალნიაშვილი. პასუხმგ. რედაქტორი გ. მუშიშვილი.

მთავლ. № 1101 გამომცემლობა „ახალი სოფელი" ტირაჟი 5.000.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.